დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ქალაქ თბილისის N61 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნოდარ ანგურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

1. თამარი კვანტიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
2. ნინო აბესაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
3. ანა ანუშიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
4. მარაიმი ღუბელაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
5. ვარდო გოგილავა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
6. მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
7. ნადია დაბრუნდაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
8. ელენე ბეთლემიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი);
9. მარიკა ბოცვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
10. ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ თბილისის N61 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	211351936

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, დოლიძის ქ.N3
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, დოლიძის ქ.N3
საფოსტო ინდექსი	0171
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://school61.edu.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi61@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0322 23 88 43

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 17/05/2023, ბრძანება N553077
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 13 და 14 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისი, დოლიძის ქ.N3
2	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. თბილისი, დოლიძის ქ.N3
3	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. თბილისი, დოლიძის ქ.N3

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

დაწესებულებაში ვიზიტი დაიწყო 13 ივნისს, დღის წესრიგით განსაზღვრულ დროს 10:00 სთ-ზე. ვიზიტზე ერთდროულად მივედით თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ექსპერტი, საბუნებისმეტყველო საგნის ექსპერტი და ცენტრის წარმომადგენელი. სკოლის წარმომადგენლებმა სკოლის ტერიტორიაზე შესვლისთანავე შეგვამჩნიეს და დირექტორს შეატყობინეს, რომელიც შეგვეგება სკოლის ფოიეში თანმხლებ პირებთან ერთად, წარვუდექით ერთმანეთს და გვიჩვენეს ჩვენთვის გამოყოფილი სამუშაო სივრცე - ბიბლიოთეკა. ორივე დღეს ვიზიტი წარიმართა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში. ვიზიტის აქტივობები განხორციელდა ისე, როგორც იყო დაგეგმილი დღის წესრიგით. საგნობრივ ექსპერტებთან მასწავლებლების გასაუბრება ხდებოდა იმავე სივრციდან სადაც ექსპერტები ვიყავით განთავსებული და ფაქტიურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეიძლება ითქვას, რომ ყველა დავესწარით გასაუბრებას. მეორე დღის ბოლოს სკოლის წარმომადგენლებთან ერთად შევაჯამეთ გავლილი ვიზიტი.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სკოლის სახურავზე დამონტაჟებულია მზის ბატარიები, რომლის საშუალებითაც, ხელსაყრელ დღეებში, გამომუშავდება არამარტო სკოლისთვის საჭირო და საკმარისი ელექტროენერგია, არამედ ზედმეტიც, რის რეალიზებით შემოსულ თანხას სკოლა ახმარებს სასწავლო პროცესს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☑ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐**არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☑ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐**არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☑ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐**არ შეესაბამება**
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☑ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐**არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☑ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐**არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☑ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐**არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☑ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ **შეესაბამება** ☑ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☑ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐**არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ **შეესაბამება** ☑ **მეტწილად შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: -----1680-----	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☑	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება მოსწავლეთა აღნიშნულ რაოდენობას მხოლოდ ორ ცვლიანი სწავლების (დღის რეჟიმის) შემთხვევაში.
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

საბაზო საფეხურის ზოგადასაგანმანათლებლო პროგრამა

საშუალო საფეხურის ზოგადასაგანმანათლებლო პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N 3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან კორდინაციაში, უზრუნველყოს შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

		აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 16.06.2023 - 31.05.2024
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N 4.2.4.1.	*სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, კონტროლი გაუწიოს ბუფეტისთვის უსაფრთხო კვების ე.წ. HACCP-ის სისტემით აღჭურვას. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 13.10.2023-30.12.2023*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N.3.4.1.5.	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას*	*სკოლას ეძლევა რჩევა განაახლოს "პერსონალური მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების რეგულაციები" და ამოიღოს ჩანაწერები მატერიალური ჟურნალის შესახებ.*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო, საშუალო)	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.2.	*დაწყებითი საფეხური*	**უცხოური ენები:** საგნობრივ კურიკულუმებში, დაწყებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს(გლობალურ-ფუნქციური უნარები,ნუნარი,მაკრო ცნებები,სამიზნე ცნებები და შედეგები)	საფეხურზე სასურველია, ყველა შემთხვევაში იყოს დაზუსტებული სამიზნე ცნებები შესაბამისი ქვეცნებებითა და ქვესაკითხებით.
ინდიკატორი N 2.1.2.3.	***დაწყებითი საფეხური*** *სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს*	***ტექნოლოგიები:*** *მოახდინონ კურიკულუმით განსაზღვრული კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება, ისე რომ მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს და მოახდინონ მათი ადაპტირება კლასის მოსწავლეებზე, რათა თითოეულ მოსწავლეს ჰქონდეს მისი სხვადასხვა სახით ან სხვადასხვა ტიპის რესურსებით განხორციელების შესაძლებლობა.*
ინდიკატორი N 2.1.2.4.	***დაწყებითი საფეხური*** *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს*	***სპორტი:*** *სამომავლოდ შეფასების რუბრიკები ჩაიშალოს თემების მიხედვით.* ***ესთეტიკური აღზრა:*** *შეფასების სისტემა დამუშავდეს სამიზნე ცნენებთან,ქვეცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან თანხვედრაში, რათა გახდეს ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.*
ინდიკატორი N 2.2.2.4.	***დაწყებითი საფეხური*** *შეფასების სისტემა არის ვალიდური,გამჭირვალე,სანდო,ობიექტური,*	***ესთეტიკური აღზრდა-*** *შეფასების სისტემა საჭიროებს დამუშავებას,სამიზნე ცნებებთან,ქვეცნებებთან და მკვიდრ*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	სამართლიანი	*წარმოდგენებთან თანხვერას, რათა გახდეს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.*
ინდიკატორი N 2.2.2.6.	*დაწყებითი საფეხური* *სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.*	*სკოლამ შეიმუშაოს ერთიანი მიდგომა შეფასების მონაცემების შესახებ რათა სკოლაში არსებობდეს ერთიანი და ერთნაირი მიდგომა.*
ინდიკატორი N 2.3.2.4	*დაწყებითი საფეხური* *შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით*	***ესთეტიკური აღზრდა- ს**ახვით ხელოვნებასა და მუსიკაში მრავალფეროვანი აქტივობების გამო საჭიროა დავალებების ადექვატური შეფასებების რუბრიკების შედგენა.*
ინდიკატორი N 2.1.2.4	*საბაზო საფეხური* *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს*	***ესთეტიკური აღზრდა-** გადაიხედოს შეფასების რუბრიკები , როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი და ჩამოყალიბდეს კონკრეტული აქტივობების ფარგლებში, შესაბამისი კრიტერიუმებით. მეშვიდე კლასის მუსიკის კურიკულუმი შეისვოს ყველა თემის მიხედვით.* *სპორტი- სამომავლოდ შეფასების რუბრიკები ჩაიშალოს თემების მიხედვით.*
ინდიკატორი N 2.2.2.4.	*საბაზო საფეხური* *შეფასების სიტემა არის ვალიდური,სანდო,გამჭირვალე, ობიექტური, სამართლიანი*	*ესთეტიკური აღზრდა- შეფასების სისტემა საჭიროებს დამუშავებას, სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან თანხვედრას, რათა გახდეს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ინდიკატორი N 2.2.2.6	*საბაზო საფეხური* *სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.*	*სკოლას ეძლევა რჩევა შეიმუშაოს ერთიანი მიდგომა შეფასების მონაცემების შესახებ რათა სკოლაში არსებობდეს ერთიანი და ერთნაირი მიდგომა.*
ინდიკატორი 2.1.1.3.	*საშუალო საფეხური* *კურიკულუმი შემუშავებულია სასოლო საზოგადოების მიერ*	***სკოლამ სამომავლოდ უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა აღნიშნულ პროცესში,*** *რადგან კურიკულუმის შემუშავებაში მხოლოდ კათედრის ჩართულობა დაინახა, ვინაიდან ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავს სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს.*
ინდიკატორი 2.1.2.1	*საშუალო საფეხური* *შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*ესთეტიკური აღზრდა- 1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების X კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები არ ასახავს შესასწავლი საკითხის არსს, უმჯობესი იქნება მათი ასე ფორმულირება: I პროექტი : „ ჩემი რეგიონის/ქალაქის/სოფლის კულტურული მემკვიდრეობა" II პროექტი: „ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

		საზოგადოებისა და ქვეყნისთვის აქტუალურ სოციალურ, ეკოლოგიურ, სამოქალაქო პრობლემებზე და მოვლენებზე საკუთარი აქტიური სამოქალაქო პოზიციის გამოხატვა.“; 2. მუსიკაში შეიქმნას კურიკულუმი, სადაც გაიწერება ყველა პროექტი და შემდეგ მოსწავლეებმა თავად აარჩიონ კურიკულუმიდან ორი პროექტი.
ინდიკატორი N 2.1.2.4	***საშუალო საფეხური*** *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს*	*სპორტი- სამომავლოდ შეფასების რუბრიკები ჩაიშალოს თემების მიხედვით.*
ინდიკატორი 2.2.2.4.	***საშუალო საფეხური*** *შეფასების სისტემა არის ვალიდური,სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***ესთეტიკური აღზრდა:*** *საჭიროა შეიქმნას შერჩეული პროექტებისთვის განმავითარებელი შეფასების სქემა, სადაც აქცენტი აქტივობებსა და პროდუქტების მიხედვით სამიზნე ცნებების გააზრებაზე და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე იქნება.*
ინდიკატორი 2.2.2.6.	***საშუალო საფეხური*** *სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მინაცემების/ინფორმაციის /მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენასვას არანაკლებ 3 წლის ვადით*	*შეიმუშაოს ერთიანი მიდგომა შეფასების მონაცემების შესახებ რათა სკოლაში არსებობდეს ერთიანი და ერთნაირი მიდგომა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა მიერ არგუმენტირებული პოზიცია გაზიარებულ იქნა პირველ მესამე და მეოთხე სტანდარტთან მიმართებაში, ხოლო მეორე სტანდარტთან მიმართებაში დაწესებულებას არ გამოუხატავს თავისი პოზიცია, რადგან სრულად დაეთანხმა ექსპერტთა შეფასებას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას საავტორიზაციოდ წარმოდგენილ კურიკულუმში (სასკოლო სასწავლო გეგმის 2023-24 წლების პროექტში) ჩაწერილი აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიც არ მოდის წინააღმდეგობაში ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, და რომლებიც სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, არ წარმოადგენენ დასრულებულ ვერსიებს.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და დამტკიცების ვადები, აგრეთვე მითითებულ ვადებში შემუშავებული და დამტკიცებული სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები (პედაგოგიური საბჭოს ოქმი N 1 , 07.09.23), შესაბამისად აღნიშნული ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.</u>

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ შემუშავებულ მისიისა და ხედვის პროექტში ჩანს, რომ სკოლა საკუთარ თავს განიხილავს როგორც სოციო-კულტურულ ინსტიტუტს, სკოლისთვის პრიორიტეტული ღირებულებაა ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებულობა , ტოლერანტობა. სკოლა გრძელვადიან პერსპექტივაში ხედავს მოსწავლეთა აღჭურვას პიროვნული ღირსებებით, ფასეულობებით, ცოდნითა და უნარებით, რომლებიც შექმნიან ინტელექტუალურ კაპიტალს თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია შემუშავების ეტაპები. სკოლის ფილოსოფიის ჩამოსაყალიბებლად შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შექმნილია მისიის, ხედვისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ღირებულებების პროექტი, ამ ჯგუფის წევრია მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე (მშობელი), პროექტი წარდგენილი და განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, პედაგოგიურ საბჭოზე პედაგოგთა ნაწილი გამოთქვამს აზრებს, იზიარებს და ეთანხმება სკოლის მისიასა და ხედვას, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პედაგოგიური ნაწილის ჩართულობას მიისისა და ხედვის შემუშავებაში. თუმცა ვერ ჩანს სამუშაო ჯგუფის წევრი მოსწავლის და მშობლის მიერ (ან სხვა პირების მიერ) მოსწავლეთა და მშობელთა საზოგადოებისთვის ჩართულობის უზრუნველყოფა. სკოლამ სასკოლო საზოგადოების მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობის დასამტკიცებლად წარმოადგინა ფორმსში ჩატარებული გამოკითხვა, რომელიც ნაკლებად მიემართებოდა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულების განხილვას, ის კითხვარი უფრო მეტად სასკოლო სასწავლო გეგმის და სკოლის მომსახურეობის კმაყოფილების კვლევა იყო.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ვადების დაცვით ჩატარებული გამოკითხვის ანალიზი (სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში სსიპ ქალაქ თბილისის N61 საჯარო სკოლის მოსწავლეთა, მშობელთა და თანამშრომელთა გამოკითხვის ანალიზი), აგრეთვე სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სკოლის ფილოსოფიის განხილვა/შეთანხმების შესახებ.(სამეურვეო საბჭო, ოქმი N 9) სამეურვეო საბჭოს წევრი მშობელი და მოსწავლის ჩართულობაც ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას მისია,ხედვა ღირებულებების შემუშავების პროცესში. ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. **შესაბამისად აღნიშნული ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

4. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი სამსჯელოდ გატანილ იქნა სამუშაო ჯგუფის სხდომაზე, პედაგოგიურ საბჭოზე, სასკოლო საზოგადოება გამოთქვამს აზრებს, იზიარებს და ეთანხმება სკოლის მისიასა და ხედვას. ეს ჩანს სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტშიც, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაა ციფრული ტრანსფორმაცია, ასევე საგნობრივ კურიკულუმებშიც დაგეგმილია ისეთი აქტივობები, რომლებიც კომპიუტერული ტექნიკის აქტიურ გამოყენებას მოითხოვს საიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლები იზიარებენ სკოლის ფილოსოფიის პროექტს. მშობელთა და მოსწავლეთა მხრიდან გაზიარების ნაწილში სკოლის მხრიდან ვიზიტის პერიოდისთვის ვერ იქნა დამამტკიცებელი მასალის წარმოდგენა. სავარაუდოდ, როცა დასრულდება შემუშავების პროცესი, გაზიარების დამამტკიცებელი მასალაც ექნება.
<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრნველყოფის გეგმა და სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარების დამადასტურებელი მასალა. სასკოლო საზოგადოების (მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე გამოკითხვის ანალიზი).</u>
<u>**შესაბამისად აღნიშნული ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.**</u>

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლას მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ვებ. გვერდზე და განთავსებულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდებაა სსიპ - ქალაქ თბილისის N61 საჯარო სკოლა და ის შეესაბამება ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დადგენილს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფილოსოფიის სამუშაო ჯგუფის ბრძანება;
- მისიის,ხედვის, ღირებულებებისდა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სამუშაო ჯგუფის ოქმი(მისიისა და ხედვის პროექტზე მუშაობა);
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N7;
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი(2023-24 წწ.);
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 9 -07.09.2023;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი N 1 , 07.09.23;
- ვებ.გვერდი- https://school61.edu.ge/;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---
---

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სკოლის მისიის ხედვის,ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, მასში აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომელზე დაყრდნობითაც მოხდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება. ძირითად პრინციპებად გამოკვეთილია: თანამონაწილეობა, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, გამჭირვალობა, ანგარიშვალდებულება.შემუშავებული მეთოდოლოგიის მთავარ ორიენტირად განსაზღვრულია მაქსიმალური ჩართულობა.ასევე მეთოდოლოგიაშივე არის განსაზღვრული სკოლის ფილოსოფიაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის ფორმირება, შესასრულებელი სამუშაო, კომუნიკაცია სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან, უფლებამოსილების ვადა და სხვა საკითხები. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიით ნათლად იკვეთება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტატეგიული გეგმის პროექტი არის შვიდწლიანი, შემუშავებულია დირექტორის მონაწილეობით სამუშაო ჯგუფის მიერ და განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, სტრატეგიული გეგმის პროექტი გამომდინარეობს სკოლის მისიიდან პროექტიდან, თუმცა ჯერ დამტკიცებული არაა და ვერ ვიტყვით ეფუძნება თუ არა მისიას, ხედვას და ღირებულებებს, რადგან მისიასაც არაა დასრულებული.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით შემუშავებული და დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა,(სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 9 -07.09.2023) რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. შესაბამისად აღნიშნული ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2022-23წწ.), რომელიც შეიმუშავა თვითშეფასების ანალიზის შედეგად, მიმდინარე წელს, სკოლამ გამოიყენა თვითშფასების კითხვარების შევსებისას პლატფორმაზე მოცემული ჰოლისტური შეფასების შედეგები. მეთოდოლოგიაში გაწერილი აქვს, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლა ადგენს swot ანალიზს, მის საფუძველზე ხორციელდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. დიდი ალბათობით სკოლა წარმატებულად შეიმუშავებს ერთწლიან სამოქმედო გეგმას, სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, მას შემდეგ, რაც დასრულდება სტრატეგიული გეგმის შემუშავება, თუმცა ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს სამოქმედო გეგმა.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით მითითებულ ვადებში შემუშავებული და დამტკიცებული სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძენება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას. შესაბამისად აღნიშნული ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

4. სკოლა მოქმედებს 2022-2023 სასწავლო წელს დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმით, რომელშიც განსაზღვრულია მიზნები, ამოცანები,აქტივობები, შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. სკოლას სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილი აქვს რა აუცილებელ საკითხებს უნდა მოიცავდეს სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა: სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესრულების ვადებს, შესრულების ინდიკატორებს და რესურსებს. 2023-2024 სასწავლო წელს, ახალი შვიდწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდგომ მოხდება ერთწლიანი გეგმის დამტკიცება.

<u>სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმის მიხედვით დადგენილ ვადებში შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ვადები, გაზომვადი ინდიკატორები, რესურსები და პასუხისმგებელი პირები. შესაბამისად, აღნიშნული ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.</u>

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის მისიის ხედვის ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;

სტრატეგიული გეგმის პროექტი;

პედაგოგიური საბჭოს ოქმი N7;

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2022-23 წწ.);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2024 წწ);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა 2023-2030;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 9 -07.09.2023.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, განსაზღვრულია მონიტორინგის პროცედურა, ვადები, პასუხისმგებელი პირები, მონიტორინგის განხორციელების ფორმა,მეთოდები(დაკვირვება და შეფასება,ანგარიშების წარდგენა),და სხვ. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის მეთოდოლოგიაში ასევე მოცემულია მონიტორინგის მექანიზმებისათვის ცხრილი, ცხრილი ივსება თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლას სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწერილი აქვს, რომ შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში განხორციელდება ყოველ 3 (სამ) წელიწადში და 7 (შვიდი) წლის გასვლის შემდეგ, სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის მიმდინარეობისას მუდმივად და თითოეული სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს. მეთოდოლოგიით ასევე განსაზღვრულია, რომ სტარტეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ შემუშავებლი და დამტკიცებული სკოლის მისიის ხედვის ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გაზიარების მექანიზმები. ინფორმაციის გასაზიარებლად გამოიყენება შემდეგი საშუალებები: სკოლის ვებ.გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი, საჯარო ღონისძიებები, სკოლის სტენდი. ასევე მეთოდოლოგიაში მოცემულია ინფორმაციის გაზიარებისათვის ჩარჩო-სქემა დოკუმენტების, პროცესების, გაზიარების ადრესატის, გაზიარების საშუალებების მითითებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლას სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში განსაზღვრული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშის გამოყენებით დაგეგმავს სკოლის განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებს. ჩატარებული ინტერვიუს დროს როგორც სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შეფასების შედეგები დაწესებულებას დაეხმარება გააანალიზოს მის მიერ დაშვებული შეცდომები და შემდგომი წლის დაგეგმვის პროცესი უკეთესად წარმართოს. მიღებულ გამოცდილებას გაითვალისიწინებენ შემდეგი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ფორმირებისას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შეიტანენ ცვლილებებს მასში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული გეგმის პროექტი;
- სტრატეგიული გეგმა 2023-2030.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლის ნახვა შესაძლებელია სკოლის ვებ-გვერდზე: https://school61.edu.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90/ .სკოლის სტრუქტურა არ ეწინააღმდეგება **"ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ"** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2005 წლის 15 სექტემბერს დამტკიცებული საჯარო სკოლის წესდებით განსაზღვრულ სკოლის სტრუქტურას. სტრუქტურის მიხედვით სკოლის მმართველობა ხორციელდება კოლეგიური (სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, ასევე მრჩეველთა საბჭო). თითოეული კოლეგიური სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია მოვალეობა გაწერილია სკოლის წესდებასა ან/და შესაბამის სტრუქტურული ერთეულის დებულებაში. გარდა ამისა სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციები (სკოლის დირექტორის 2023 წლის 22 მარტის N1/კ-31 ბრძანება), რომელშიც მოცემულია არაკოლეგიური სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები, მათ შორის დირექტორის, დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის და სხვა თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულების/პირების ფუნქციები მიემართება პირდაპირ სკოლის ძირითადი საქმიანობის განხორციელებისკენ, ან/და ადმინისტრაციული ან დამხმარე პროცესების განხორციელებისკენ. პასუხისმგებლობები კარგადაა განაწილებული და არ იწვევს ურთიერთგადაფარვას. საბოლოო ჯამში, მათი ფუნქციები ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ-გვერდი https://school61.edu.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90/ ;
- სკოლის წესდება;
- პედსაბჭოს დებულება;
- დისციპლინური კომიტეტის დებულება;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---
---

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ვებ გვერდზე ატვირთულია დოკუმენტი "ადამიანი რესურსების მართვის პოლიტიკა", რომელიც შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ამის შესახებ გაცხადებულია დოკუმენტის პრეამბულაში. დოკუმენტის მიხედვით, "ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას" შეიმუშავებს სკოლის დირექტორი და ამტკიცებს სამეურვეო საბჭო.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს პრაქტიკა საჭიროების შემთხვევაში ადამიანური რესურსების ჩანაცვლება/ შენაცვლების პრაქტიკის განხორციელებისა, რის დამადასტურებლად სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა მასწავლებელთა გაკვეთილზე ჩანაცვლების და შენაცვლების დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები, ამასთან აწარმოებს "შეცვლილი და გაცდენილი გაკვეთილების აღრიცხვის ჟურნალს", საავტორიზაციო განაცხადთან ერთად სკოლამ წარმოადგინა გამცდენი მასწავლებლის შეტყობინება-სამსახურებრივი ბარათი, რომ იმყოფება საავადმყოფო ფურცელზე, ასევე დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათი, საიდანაც ირკვევა, რომ ანაზღაურების გარეშე შვებულებაში მყოფი მასწავლებლის გაკვეთილების ჩამნაცვლებელზე ინფორმაციას აწვდის სკოლის დირექტორს და სთხოვს გაითვალისწინოს სახელფასო ანაზღაურებისას. გარდა ამისა სკოლის შინაგანაწესში გაწერილია სამსახურში დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში დასაქმებული მხრიდან შეტყობინების წესი. სკოლას აქვს მზაობა მომავალშიც განახორციელოს არსებული პრაქტიკა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლა მასწავლებელთა შერჩევას ახორციელებს "მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების შესაბამისად, სკოლას კონკურსის სათანადო წესით შერჩეული ჰყავს მასწავლებლები და მასწავლებლის მაძიებლები, რის შემდეგაც განსაზღვრული ჰყავს ტუტორი. სხვა თანამშრომლის მიღება (გარდა ექიმისა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისა, რომლებიც ხორციელდება ასევე სათანადო კონკურსის წესით, ხორციელდება გასაუბრების საფუძველზე.

   აღსანიშნავია, რომ სკოლაში ყველა დასაქმებულზე შექმნილია პირადი საქმეები, რომლების შეიცავენ მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტაციას და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ყველა აუცილებელ დოკუმენტს, მათ შორის ცნობებს "ნასამართლობის შესახებ" (მხოლოდ დირექტორის და მასწავლებლის შემთხვევაში); "სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ" და "საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ". აღმოჩნდა, რომ **ნასანართლობის შესახებ ცნობა არ აქვს 13 პირს, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა არავის აქვს**, ხოლო "სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ" **ცნობა არ აქვს 14 თანამშრომელს**, რადგან 2020 წლის 1 მაისის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც ცვლილება შევიდა კანონში, სკოლამ შსს-ში, გადააგზავნა სკოლაში დასაქმებული პირთა სია, "სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის გადამოწმების მიზნით, რის შემდეგაც შსს-დან უარყოფითი უკუკავშირი არ მოსულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

<u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოაგინა ნასამართლეობის შესახებ 13 პირის ცნობა, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა 118 პირის, ხოლო სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ - 14 პირისათვის. შესაბამისად, არნიშნული ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში</u>

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. გარდა სახელმწიფოს მიერ დადგენილი კონკურსები წესებისა და მათში მონაწილეების საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა, რომელსაც იცავს სკოლა, სკოლას დადგენილი აქვს სხვა თანანმდებობის პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც გაწერილია თანამდებობრივ ინსტრუქციებში და რომლებიც დაცულია თანამშრომელთა შერცევისას. ეს ჩანს მათი პირადი საქმეების დათვალიერებისას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლის ორგანიზაციულ მოწყობაში არის სტრუქტურული რგოლები, რომელთა ფუნქციები გუნდურობას და გადაწყვეტილებების კოლეგიურ მიღებაზეა დაფუძნებული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლაში წარმატების აღიარების მექანიზმად შეიძლება ჩაითვალოს წახალისების სისტემა, რომელიც სკოლის შინაგანაწესშია და რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის, ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის, ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ან/და კეთილსინდისიერი ხანგრძლივი სამსახურისთვის. გარდა ამისა სკოლას გათვალისწინებული აქვს წარმატებული საქმიანობის გაზიარების შესაძლებლობაც. მაგალითად "ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის" დოკუმენტით დირექტორის მოადგილე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ვალდებულია "პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, სკოლის მასწავლებლებისთვის მოაწყოს სამუშაო შეხვედრები", ხოლო კათედრის დებულებით კი განსაზღვრული კათედრის ფუნქციებიდან ერთ-ერთია "კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება".

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი https://school61.edu.ge/%e1%83%93%e1%83%9d%e1%83%99%e1%83%a3%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%9c%e1%83%a2%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98/
- 2022 წლის 29 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი N37;
- დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები გაკვეთილის ჩანაცვლების შესახებ;
- "შეცვლილი და გაცდენილი გაკვეთილების აღრიცხვის ჟურნალი";
- კონკურსის მასალები'
- ტუტორის დანიშვნის ბრძანება;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- კათედრის დებულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას კათედრის ფარგლებში დაგეგმილი აქვს აქტივობა, გაკვეთილებზე ურთიერთ დასწრება, რომლის ფარგლებში ხდება საჭიროებათა გამოვლენა და გადაჭრის გზების ძიება. გასული წლების პრაქტიკის დასადასტურებლად, საავტორიზაციო მასალებთან ერთად, სკოლას გადმოგზავნილი ჰქონდა კათედრის სხდომის ოქმი, (საავტორიზაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მასალებში დანართი 41), რომელიც ურთიერთდასწრების დაგეგმვას ეძღვნება. ამავე ოქმში ნათქვამია, რომ ურთიერთდასწრება და საჭიროებათა დადგენა მასწავლებელს ეხმარება პროფესიულ ზრდაში. გარდა ამისა, სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი, რომელმაც გაკვეთილზე დასწრებისა და მასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობის საფუძველზე მასწავლებელს უნდა მისცეს განმავითარებელი შეფასება. სკოლის მიერ გავლილი პრაქტიკის დამადასტურებლად საავტორიზაციო განაცხადთან ერთად წარმოდგენილი იყო ამ ჯგუფის სხდომის ოქმი (საავტორიზაციო მასალებში დანართი 89). თუმცა უნდა არინიშნოს, რომ <u>სკოლის მასწავლებლების გარდა, სხვა თანამშრომელთა შეფასება და საჭიროებათა დადგენა სკოლის რეგულაციებით არაა გათვალისწინებული</u>.

<u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა სკოლის პერსონალის გამოკითხვის ანალიზის ფორმა, რომელიც იყო ანონიმური და ჯამში მონაწილეობას იღებდა 14 ადამიანი, მათ უნდა დაეფიქსირებინათ:</u>

<u>სკოლაში არსებული რესურსები და მატერიალურტექნიკური ბაზა იყო თუ არა საკმარისი მათი საქმიანობის განსახორციელებლად და რა რესურსების დამატებას ისურვებდნენ. ასევე, უნდა შეეფასებინათ უსაფრთხოება სკოლის ტერიტორიაზე და დაეფიქსირებინათ პროფესიული განვითარების კუთხით რა ტრენინგების გავლას ისურვებდნენ.</u>

<u>ანგარიშში დეტალურადაა გაანალიზებული გამოკითხვის შედეგები და სტატისტიკა.</u>

<u>სკოლამ აგრეთვე წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც შესულია ცვლილება და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე, მასში განსაზღვრულია პროფესიულ საჭიროებათა დადგენის მექანიზმი არა მხოლოდ მასწავლებლებისთვის, არამედ ნებისმიერი პერსონალისთვის. შესაბამისად, აღნიშნული ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.</u>

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. რადგან საჭიროებათა დადგენა მხოლოდ მასწავლებლების შემთხვევაშია შესაძლებელი, ამიტომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების დაგეგმვა შესაძლებელია მათი საჭიროების მიხედვით. ყველა თანამშრომლის პროფესიული განვითარება ვერ დაიგეგმება გამოვლენილ საჭიროებათა საფუძველზე.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი", რომელშიც შესულია ცვლილება და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე, მასში განსაზღვრულია პროფესიული განვითარებისათვის გასატარებელი ღონისძიებები არამხოლოდ მასწავლებლებისთვის, არამედ ნებისმიერი პერსონალისთვის.სკოლამ დირექციის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზის შემდეგ შეიმუშავა თანამშრომელთა პროფესიული ზრდისთვის დაგეგმილი აქტივობების გეგმა 2023-2024 სასწ წელი. შესაბამისად, აღნიშნული ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3.პერსონალის კარიერულ ზრდასთან დაკავშირებით სკოლის რეგულაციებით განსაზღვრულია რამდენიმე სახის აქტივობა. კერძოდ, კათედრის ფარგლებში მასწავლებლების ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის მიერ გაკვეთილისა და განხორციელებული აქტივობების შეფასება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეობა, უკანასკნელ ხანს დირექტორი და ბუღალტერი მონაწილეობდნენ "ხაზინაზე გადასვლასთან" დაკავშირებულ ტრენინგებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4.სკოლას შემუშავებული აქვს ახალ თანამშრომელთა ადაპტაციის წესი, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

5.სკოლის “ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის” ამოცანებს შორის არის ამოცანები, რომლებშიც გაცხადებულია, რომ პერსონალის განვითარებისთვის განსაზღვრულია მათი პროფესიული საჭიროებათა დადგენა და შემდეგ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; ასევე განსაზღვრულია მოტივაციის ამაღლების მიზნით წახალისების სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმა და განხორციელება. ამასთან ერთად შინაგანაწესით განსაზღვრული წახალისების წესები, რომელიც პროფესიული მოვალეობის საუკეთესოდ შესრულებისთვის ან/და დიდი, რთული სამუშაოსთვის შეიძლება დაიმსახუროს პერსონალმა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის სხდომის ოქმი (საავტორიზაციო მასალებში დანართი 21);
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის ოქმის (საავტორიზაციო მასალებში დანართი 89)
- ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი;
- გამოკითხვის შედეგები;
- თანამშრომელთა პროფესიული ზრდისთვის დაგეგმილი აქტივობების გეგმა 2023-2024 სასწ წელი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული დამტკიცებული აქვს დოკუმენტი "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები". დოკუმენტის მიხედვით სკოლაში მიმდინარე პროცესების შეფასება ხორციელდება შიდა და გარე მექანიზმებით. შიდა შეფასება ხორციელდება ხარისხის მართვის ერთ-ერთ- გავრცელებული PDCA-ციკლის (დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, მოახდინე რიაგირება/განავითარე) მიხედვით, ხოლო გარე შეფასება ხორციელდება ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, მონიტორინგის ან/და 6 წელწადში ერთხელ ავტორიზაციის პროცესის მეშვეობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების" მიხედვით სკოლას იდენტიფიცირებული აქვს სკოლის ფილოსოფიაზე დაფუძნებული კურიკულუმის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პერსონალის მართვის, მოსწავლეთა მხარდამჭერი სისტემის და სასკოლო სასწავლო გეგმის დაგეგმვა/განვითარება და შეფასება აღნიშნული ციკლის მიხედვით. ფაქტიურად სკოლას იდენტიფიცირებული აქვს ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები;

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს "სსიპ - ქალაქ თბილისის N61 საჯარო სკოლის განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი", ბრძანება, 1/კ-64, 06.06.2023. წესი ვრცელდება ყველა დასაქმებულ პირზე, სკოლის მოსწავლეზე, მის მშობელზე, ასევე ნებისმიერ პირზე, რომელიც სკოლას მიმართავ განცხადებით/საჩივრით. დოკუმენტით განსაზღვრულია განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, ფორმა, ვადები. ასევე საჩივრის განხილვის წესი დისციპლინური წარმოებისას; ასევე მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრება; თანამშრომელთა, მოსწავლეთა, მშობელთა საჩივრის განხილვა; შიდა სასკოლო გამოცდების შედეგების გასაჩივრება;

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები დაცულია სკოლაში მოქმედი "განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესით" სკოლასა და პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით; სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელთან დადებული მომსახურების ხელშეკრულებით და სკოლის შინაგანაწესით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- დოკუმენტი - "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები" და ბრძანება N1/კ-30, 22.03.2023;
- დოკუმენტი - "სსიპ - ქალაქ თბილისის N61 საჯარო სკოლის განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი"და ბრძანება, 1/კ-64, 06.06.2023;
- სკოლასა და პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულება;
- სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელთან დადებული მომსახურების ხელშეკრულება;
- სკოლის შინაგანაწესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს <u>მშობელთა ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია)</u>, რომელშიც გაწერილია სკოლის მოვალეობა მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების ინფორმირების შესახებ (პუნქტი 3.1.3). ამავე დებულებაში სკოლის უფლებაა მოუწოდოს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ჩაერთოს სკოლის ცხოვრებაში, მიიღოს მონაწილეობა სკოლის ორგანიზებით განხორციელებულ აქტივობებში (პუნქტი 3.2.5). გარდა ამისა დამრიგებლის დებულების საფუძველზე, დამრიგებელი ვალდებულია ყოველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასწავლო წლის დასაწყისში მშობელს გააცნოს სასკოლო დოკუმენტაცია, იყოს შუამავალი მოსწავლეს, მის კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლის მასწავლებელს შორის. გარდა ამისა მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის სწავლასთან და დისციპლინასთან დაკავშირებით, დაგეგმოს შეხვედრები და მიიღოს მშობლებისგან უკუკავშირები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სტრუქტურული ერთეულები წარმომადგენლობითია, კერძოდ სამეურვეო საბჭოში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრია (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, ასევე შესაძლებელია სამინისტროს წარმომადგენელი, თემის წარმომადგენელი); ასეთივე წარმომადგენლობითია დისციპლინური კომიტეტი; გარდა ამისა, სკოლის კოლეგიური ორგანოებია პედაგოგიური საბჭო, სადაც ყველა პედაგოგია ჩართული; მოსწავლეთა თვითმმართველობა, სადაც მოსწავლეები თავიანთ წარმომადგენლებს ირჩევენ; საგნობრივი კათედრები, სადაც მასწავლებლები საგნობრივი მიმართულებით არიან გაერთიანებული. ყველა ეს ორგანო უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობით, მათთვის განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთა ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია);
- სკოლის სტრუქტურა;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. გეგმა წესისამებრ შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და შემდგომ სკოლას დამტკიცებული ჰყავს საგანგებო შტაბი და საგანგებო მართვის გეგმა. გარდა ამისა სკოლას აქვს მიწერილობა N1654, MIA 2 19 02752434 16/10/2019, რომელიც შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისგან სკოლის შენობის დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საფუძველზე. მიწერილობის მიხედვით სკოლას ჰქონდა განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა, რომლის უმრავლესობა, სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლის მიერ შესრულებულია, მათ შორის ვიზიტამდე 3 დღით ადრე განახორციელეს თანამშრომელთა ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი, თუმცა დარჩა ერთი აქტივობა, რომელიც არ იძლევა საშუალებას განახორციელოს სახანძრო მიწერილობით განსაზღვრული ყველა სავალდებულო ღონისძიება. ამ აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო თანხის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან გადმოცემის თხოვნით გაგზავნილია წერილი განათლების სამინისტროში MES 7 22 0000819785, 19/07/2022, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან და ასევე, თანხის გადმოცემის შუამდგომლობის თხოვნით სკოლას გაგზავნილი აქვს ანალოგიური წერილი ვაკე-საბურთალოს რესურსცენტრში MES 1 22 0000820002, 19/07/2022. გარდა ამ წერილების სკოლამ წარმოადგინა ცნობა (თარიღად მხოლოდ წელი აწერია 2022) შემსრულებლისგან (შპს "ქრობა 77"), საიდანაც ირკვევა, რომ სკოლასა და შპს "ქრობა 77"-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით (ხელშეკრულება N29/22, 30.08.2022) გათვალისწინებული ცენტრალიზებული სახანძრო, სამისამართო სიგნალიზაციისა და მისი კომპონენტების დამონტაჟება მოხერხდა, მაგრამ ვერ მუშაობს, რადგან მანამდე არსებული კვამლის დეტექტორები მწყობრიდანაა გამოსული არსებული სისტემის გაუმართავობის გამო. როგორც ჩანს ეს შემსრულებელი არ/ვერ აკეთებს „მანამდე არსებულ გაუმართაობას".

სკოლას ჰყავს ექიმი და ექთანი, თუმცა 2022 წლის 21 მარტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების თანახმად და იმის გათვალისწინებით, რომ სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა აღემატება 800-ს, სკოლას რეკომენდებულია ჰყავდეს ორი ექიმი. მართალია სკოლას ჰქონდა მცდელობა მეორე ექიმის შტატის დამტკიცების მოთხოვნაზე, მაგრამ უშედეგოდ (რადგან არ ჰქონდა ორი კორპუსი და ორი ექიმის კაბინეტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

და ამასთან ზემოაღნიშნული ბრძანების ამოქმედებამდე. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა ამ მცდელობის დამადასტურებელი მიმოწერა.

სკოლაში მოქმედებს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. ექიმი აწარმოებს ჟურნალებს, რომელიც შეესაბამება მოქმედ რეგულაციებს. ვიზიტის პერიოდში განხორციელდა ექიმის კაბინეტის აღჭურვილობის შედარება ზემოაღნიშნული ბრძანების მოთხოვნებთან, აღმოჩნდა, რომ სრული შესაბამისობისთვის სკოლის **სამედიცინო კაბინეტს ესაჭიროება გადაუდებელი დახმარების ჩანთა და ბასრი სამედიცინო ნარჩენების კონტეინერი. გარდა ამისა ექიმს უნდა ჰქონდეს კომპიუტერი.**

<u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს დაადასტურა მოცემული ხარვეზების აღმოფხვრის ფაქტები, კერძოდ: ექიმის კაბინეტში დადგა კომპიუტერი; შეიძინა ექიმის კაბინეტისთვის შესაბამისი აღჭურვილპბა, (გადაუდებელი დახმარების ჩანთა და ბასრი სამედიცინო ნარჩენების კონტეინერი.) წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტი და მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება № 47/23, კაბინეტში დაიდგა კომპიუტერი, რაც დასტურდება ფოტო მასალით.</u>

<u>გარდა ამისა, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულებამ სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მიმართავს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 16.06.2023-31.05.2024 და პასუხისმგებელ პირებად/სტრუქტურებად მითითებულია სკოლის დირექტორი და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის,</u> **<u>შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

2. სკოლა იცავს და ახორციელებს "ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით განსაზღვრულ პროცედურებს. ამ წესის შესაბამისად სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, წარმოდგენილია მათი შეხვედრების ოქმები, სკოლას განსაზღვრული ჰყავს ამ წესის შესაბამისად უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები, სქესის მიხედვით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. "ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანების ერთ-ერთი მიზანი სწორედ "ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფაა". ამავე ბრძანების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოკრულია მანდატურის ფსიქო-სოციალური სამსახურის ცხელი ხაზის ნომერი, გარდა ამისა სკოლას თავად ჰყავს ფსიქოლოგი და ფსიქოლოგი ინტეგრირებული კლასის მიმართულებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ექიმის ხელშეკრულებით განსაზღვრულია ექიმის მოვალეობა (პუნქტი 3.3.18 და 3.3.19), რომლის მიხედვითაც სკოლის ექიმი ვალდებულია განახორციელოს სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე კონტროლი, სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწოდოს ინფორმაცია დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვის შესახებ, ასევე გაუწიოს ზედამხედველობა სკოლაში სასმელი წყლისა და სურსათი უვნებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვას. სკოლამ წარმოადგინა სასმელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

წყლის ლაბორატორიული შემოწმების დასკვნა, რომლის მიხედვითაც სასმელი წყალი აკმაყოფილებს უსაფრთხოების ნორმებს;

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლას შემუშავებული აქვს "პერსონალური მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები", რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2021 წლის 21 თებერვლის N2-20 ბრძანებით. დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია მონაცემების დაცვის პრინციპები; პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობები, მიზნები; მონაცემების დაცვა სხვადასხვა გზით და ხერხებით მოპოვებული მონაცემების შემთხვევაში და მათი შენახვის ვადები, ასევე მონაცემთა წვდომაზე განსაზღვრული უფლებამოსილი პირების უფლება/მოვალეობები და პასუხისმგებლობა. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტი საჭიროებს განახლებას, რადგან მასში მოცემულია მატერიალური ჟურნალის წარმოებისას მონაცემების დამუშავების რეგულაციებიც. **სკოლას ეძლევა რჩევა განაახლოს "პერსონალური მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების რეგულაციები" და ამოიღოს ჩანაწერები მატერიალური ჟურნალის შესახებ, რადგან მატერიალური ჟურნალების წარმოება აღარ ხორციელდება).**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. გარდა პერსონალური მონაცემების დაცვისა, სკოლაში უზრუნველყოფილია სხვადასხვა ხასიათის ინფორმაციის დაცვა სხვადასხვა დოკუმენტის საშუალებით. მაგალითად სკოლის შინაგანაწესის მიხედვით დაცულია მოსწავლის აკადემიური და დისციპლინის შესახებ მონაცემები და ისინი განცალკევებულად უნდა ინახებოდეს. ამასთან დამრიგებლის დებულებაში ნათქვამია, რომ დაუშვებელია მოსწავლის აკადემიური ან/და დისციპლინის შესახებ საჯაროდ საუბარი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

7. “პერსონალური მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების რეგულაციებით” გათვალისწინებულია მონიტორინგიც, რაც გარკვეულწილად უსაფრთხოების შეფასებასაც წარმოადგენს

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 1 ივნისის N2-164 ბრძანება საგანგებო მართვის გეგმისა და საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ;
- სკოლის ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება N2-582, 04.11.2022;
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის ბრძანება N2-399, 15.09.2022;
- “პერსონალური მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები” და სკოლის დირექტორის 2021 წლის 21 თებერვლის N2-20 ბრძანება;
- ექიმის ხელშეკრულება;
- სასმელი წყლის მიკრობიოლოგიური გამოკვლევის შედეგები 26.03.2021წ;
- სამედიცინო კაბინეტისთვის გადასატანი ჩანთისა და ბასრი სამედიცინო ნარჩენების შესყიდვის დოკუმენტაცია და ფოტო მასალა;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☑ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---
---

1. სსიპ - ქალაქ თბილისის N61 საჯარო სკოლა უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულის საფუძველზე, არსებობის ვადით, სარგებლობს მიწის ნაკვეთით, ფართით 3817 კვ.მ და მასზე განთავსებულ შენობა ნაგებობას საერთო ფართით 6579,7 კვ.მ, რომელიც მდებარეობსა მისამართზე: თბილისი, დოლიძის ქუჩა N3. შენობა სამსართულიანია და აქვს ნულოვანი სართულიც, რომელშიც ფართები გამოყოფილია სასაწყობე და დამხმარე დანიშნულები, ორი ოთახი განკუთვნილია გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფებისთვის, ორი ოთახი ბუფეტის დამხმარე სათავსოსთვის და დანარჩენი ფართი სკოლას იჯარით აქვს გაცემული. საგანმანათლებლო პროცესი ძირითადად ზედა სამ სართულზე მიმდინარეობს და საკლასო ოთახებიც ამ სართულებზეა განთავსებული. სკოლაში სულ 29 საკლასო ოთახია. ფინანსური კლასი კი 58-ია. ამის გამო სწავლა-სწავლების პროცესი ორ ცვლაში მიმდინარეობს. პირველ ცვლაში სწავლობს 7-12 კლასები და მე-6 კლასების ნაწილი, ხოლო მეორე ცვლაში დანარჩენი კლასები. სკოლაში ვიზიტის პერიოდისთვის 1555 მოსწავლეა. სკოლას ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში სურვილი აქვს მოემსახუროს 1680 მოსწავლეს მოსწავლეთა რაოდენობა აღებულია 29 საკლასო ოთახის ორ ცვლაში მაქსიმალური დატვირთვის (29 მოსწავლე) დამრგვალებით (29*29*2=1682).

   გარდა საკლასო ოთახებისა სკოლის შენობაში არის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის ლაბორატორიები ცალ-ცალკე, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, ადმინისტრაციის კაბინეტები, ბუფეტი, დაცვისა და მანდატურის ოთახები და სხვა დამხმარე სათავსოები, რომლებიც უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო საქმიანობის სრულფასოვნად წარმართვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორობის პრონციპების გათვალისწინებით ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომელშიც მოცემულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; ასევე მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი და კომპიუტერებით სარგებლობის განრიგი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, კერძოდ შესასვლელთან მოწყობილია პანდუსი, სკოლაში სართულებს შორის გადაადგილება შესაძლებელია ლიფტის საშუალებით, მოქმედებს და შესაბამისად აღჭურვილია რესურს-ოთახი, გარდა ამისა სკოლა ჩართულია "ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის" პროგრამის "საჯარო სკოლებში ინტეგრირებული კლასების დაფინანსების" ქვეპროგრამაში, რომლის ფარგლებში სკოლაში მოქმედებს ერთი ინტეგრირებული კლასი და ამ კლასის მოსწავლეებისთვის შექმნილია მათთვის ხელსაყრელი პირობები. სკოლის ყველა სართულზე მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში სადაც 1500-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს, ბუნებრივია სხვადასხვა ნიშნით მრავალფეროვანი სოციო-კულტურული ჯგუფები იარსებებს. სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის ორიენტირებული და მორგებული რომელიმე პრივილეგირებული ჯგუფის ინტერესებზე და ამდენად ის ხელმისაწვდომია ყველასთვის ერთნაირად და თანაბრად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები ცალ-ცალკე (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და აქვს შესაბამისი აღჭურვილობა. გარდა ამისა სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტის დარბაზი, სხვადასხვა სახის რუკები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

და თვალსაჩინოებები, რომელიც კურიკულუმითაა განსაზღვრული. გარდა ამისა სკოლის ბიბლიოთეკაში არის სასკოლო სახელმძღვანელოები, რომლების კურიკულუმითაა დადგენილი. პირველკლასელ მოსწავლეებს გადაეცემათ ბუკები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდი: 01.10.17.034.038
- ბიბლიოთეკის დებულება;
- მატერიალური რესურსებიტ სარგებლობის წესი;
- კომპიუტერებით სარგებლობის განრიგი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს მისიის პროექტში გაცდახებულ საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სწავლა-სწავლების პროცესს. კერძოდ სკოლაში არის 72 კომპიუტერი (ლეპტოპი და ე.წ. პერსონალური), კომპიუტერები გამოიყენება როგორს სასწავლო პროცესში, ასევე ადმინისტრაციული საქმიანობის დანიშნულებით. სკოლის თითქმის ყველა საკლასო ოთახი (1-2 გამონაკლისის გარდა) აღჭურვილია პროექტორით, სკოლაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი, სკოლას აქვს პრინტერები და ქსეროქსები, რომელიც გამოიყენება, როგორ სასწავლო პროცესში, ასევე ადმინისტრაციული საქმიანობის პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია, როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის. მასწავლებლებს, მათი საჭიროების მიხედვით, შეუძლიათ ისარგებლონ როგორც კომპიუტერული ლაბორატორიის კომპიუტერებით, ასევე ლეპტოპებით. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსების სარგებლობის გეგმა, ასევე შემუშავებულია კომპიუტერული ტექნიკის სარგებლობის განრიგი და სკოლის ტექნოლოგიური განვითარებისთვის შემუშავებულია სკოლის ციფრული განვითარების გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;
- კომპიუტერული ტექნიკის სარგებლობის განრიგი;

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს "საქმისწარმოების ერთიანი წესი", რომელიც დამტკიცებულია 2023 წლის 22 მარტის 1/კ-35 ბრძანებით. სკოლას ამ წესით განსაზღვრულია სამი ტიპის დოკუმენტ: ა) შემოსული ბ) გასული; გ) შიდა დოკუმენტაცია. განსაზღვრულია წესი, რომელი დოკუმენტი რომელ ტიპს განეკუთვნება. სკოლის დირექტორი გამოსცემს ბრძანებებს, რომლების დაჯგუფებულია საერთო და საკადრო ბრძანებებად. სკოლა არეგისტრირებს შემოსულ და გასულ დოკუმენტაციას. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლა ჩართულია განათლებისა და მევნიერების სამინისტროს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow)-ში. სკოლის ყველა თანამშრომელს გააჩნია საკუთარი პროფილი ამ სისტემაში. ვიზიტის დროს, სკოლის დოკუმენტაციის შესწავლისას, ექსპერტების მიერ დაფიქსირებულია სკოლის თანამშრომლების მხრიდან ადმინისტრაციისადმი დაწერილი განცხადებები არა მატერიალური სახით, არამედ სწორედ Eflow-ს გამოყენებით, რაც მიგვანიშნებს, რომ სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო echool.emis.ge სისტემაში. ამ სისტემაში სკოლის პროფილის დასახელებაა "სსიპ - ქალაქ თბილისის N61 საჯარო სკოლა". პროფილში სრულყოფილადაა შეყვანილი მოთხოვნილი ინფორმაცია სკოლის შესახებ: სკოლის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლა აწვდის ინფორმაციასა და უკუკავშირს თავისი საქმიანობის შესახებ იმ უწყებებს, რომლებიც ერთჯერადად ან სისტემატიურად უფლებამოსილი არიან მიიღონ ასეთი სახის უკუკავშირები. მაგალითად სისტემატიურად, ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის სკოლა აწვდის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს და ასევე ანგარიშს აქვეყნებს საკანონმდებლო მაცნეში.სკოლას განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფომრაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირი - სკოლის საქმისმწარმოებელი. გარდა ამისა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ყოველწიურად წარადგენს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშის სკოლის მიერ განხორციელებული ინკლუზიური სწავლების შესახებ. სკოლა აწვდის ინფორმაციას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ. ყოველწლიურად სკოლის ბუღალტერი სკოლის ბალანსს წარუდგენს საგანმანათლებლო რესურსცენტრს. ასევე ყოველწლიურად სკოლის დირექტორის ვალდებულია 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს ანგარიში წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით;
- სკოლის პროფილით ზოგადი განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში;
- სკოლის დირექტორის წარდგენილი ანგარიშით;
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ დირექტორის ბრძანებით;
- საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ანგარიშით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ-გვერდი: https://school61.edu.ge/ და სოციალურ ქსელში საკუთარი პროფილი: https://www.facebook.com/profile.php?id=100053215736301 . ვებ-გვერდზე არის გვერდი "სიახლეები", რომელიც, როგორც დაკვირვებით დადგინდა, სკოლაში განხორციელებულ მნიშვნელოვან მოვლენების შესახებ იძლევა ინფორმაციას, ხოლო სოციალურ ქსელში თითქმის ყოველდრიურად და ზოგჯერ დღეში რამდენიმეჯერაც ქვეყნდება სიახლეები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. აღნიშნულ გვერდებზე სკოლის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია, ექსპერტთათვის ცნობილი ინფორმაციის ფარგლებში, არის სანდო და უტყუარი. თავად სკოლა ადასტურებს ინფორმაციის უტყუარობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლა საზოგადოებასთან ურთიერთობას, გარდა ზემოაღნიშნული ვებგვერდებისა, ახორციელებს ელექტრონული ჟურნალის, ელექტრონული ფოსტის, Forms კითხვარის და სხვათა საშუალებით. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ ნანახი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

იყო Forms კითხვარით მიღებული უკუკავშირი მშობლებისგან და თანამშრომლებისგან, სადაც კითხვების თემა/მიზანი სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესება და კმაყოფილების კვლევა იყო.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ვებ გვერდი მოქმედია და მასზე ქართულ ენაზეა განთავსებული ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლის ვებ-გვერდია: https://school61.edu.ge/ რომელზეც მოცემულია შემდეგი სახის ინფორმაცია: სიახლეები; მისია, ხედვა, ღირებულებები; სტრუქტურა; სკოლის მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ, სწაქვლების ენის შესახებ; ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი); გასაჩივრების მექანიზმები; გათვალისწინებულია გვერდები ფინანსური და სტარტეგიული ანგარიშების შესახებ, რომლებსაც სკოლა სავარაუდოდ შემდეგ-პირველადი ავტორიზაციის მიღების შემდეგ შეავსებს; ასევეა საკონტაქტო ინფორმაცია; შინაგანაწესი; სასკოლო სასწავლო გეგმის შესახე; სკოლაში მოქმედი სახავდასხვა სახის დოკუმენტები. **სკოლას ეძლევა რჩევა: სასურველია სკოლამ დაამატოს ინფორმაცია დამატებითი მომსახურების შესახებ, რომლებსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს (მაგალითად სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს გახანგრძლივებული სწავლების მომსახურეობას, მაგრამ ამის შესახებ ვებ-გვერდზე ინფორმაცია ვიზიტის პერიოდითვის არ არის).**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი : https://school61.edu.ge/
- სოციალური ქსელი https://www.facebook.com/profile.php?id=100053215736301

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- Forms კითხვარის პასუხები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წამოადგინა ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე, არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლა გააგრძელებს სამოქმედო გეგმის შესაბამისი ბიუჯეტის დაგეგმვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლას ბიუჯეტის დაგეგმვის გარდა გათვალისწინებული აქვს ფინანსური და სამოქმედო გეგმების ანგარიშგების სისტემებიც. სტრატეგიულ დაგეგმვის ანგარიშგებაზე გაცხადებული აქვს დოკუმენტში "სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია", სადაც ნათქვამია, რომ სამოქმედო გეგმის ანგარიშგება მოხდება ყოველწლიურად, ხოლო სტრატეგიული გეგმის ანგარიშგება ყოველ 3 წელწადში ერთხელ და მე-7 წელს. ამასთან ერთად, როგორ ზემოთაც აღინიშნა, სკოლის დირექტორი ვალდებულია ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის ფინანსური ანგარიშით წარსდგეს სამეურვეო საბჭოს წინაშე. ყველა ანგარიშგება მონიტორინგის გარეშე შეუძლებელია, ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს მონიტორინგის სისტემა. ფინანსური და სტრატეგიული გეგმის ანგარიშების გამოქვეყნება გათვალისწინებულია სკოლის ვებ გვერდზეც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2022/23 წლების ბიუჯეტი;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის ვებ-გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა იცავს მოსწავლის უნივერსალურ უფლებებს, მოსწავლეები ჩართულნი არიან მართვის კოლეგიალურ ორგანოებში, აქვთ გასაჩივრების უფლება. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სკოლის შინაგანაწესი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. სკოლაში არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც შემუშავებული აქვს დებულება, სადაც იკითხება მოსწავლის უნივერსალური უფლებების დაცვის მექანიზმები. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში(2023-24 სასწ.წ) ერთი თავი დათმობილი აქვს მოსწავლეთა უფლებების დაცვას სასწავლო პროცესში, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით განსაზღვრულია მობილობის პროცედურები ,სემესტრული გამოცდის შესაძლებლობა, ტრანზიციის მხარდამჭერი მექანიზმები, რაც მოსწავლეთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი გამოხატულებაა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლას დამტკიცებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის გარანტიაა სკოლაში არსებული ინკლუზიური განათლების მიმართულებით გატარებული ღონისძიებები, კონკრეტულ მოსწავლეზე შექმნილი ისგ ჯგუფები, შემუშავებული ისგ-ები. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის ერთ-ერთი გარანტია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ დამტკიცებული სხვადასხვა სამართლებრივი აქტი, მოსწავლის კანონიერი უფლებების შესახებ განთავსებულია ვებ.გვერდზე, გამოკრულია სკოლის ფოიეში - საინფორმაციო დაფაზე, ასევე დამრიგებლების მეშვეობით მოსწავლეებს ეცნობებათ უფლებების შესახებ, სკოლას დამტკიცებული აქვს დამრიგებლის მუშაობის დებულება, რომელშიც გაწერილია დამრიგებლის მოვალეობები, მათ შორის იმ მოსწავლეთათავის, მშობლის/კანონიერი წარმოამდგენლისთვის იმ დოკუმენტების განცობა, რომელბიც მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ამსახველ მასალებს შეიცავს.(სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა და სხვ.)

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა პირველკლასელი მოსწავლეების მშობლებთან გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლის უფლებები დამოვალეობები, სკოლის მიერ მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადები, შეწყვეტის პირობები და სხვა მნიშვნელოვანი პირობები. როგორც სკოლის წარმომადგენელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, დაგეგმილი აქვთ საჭიროებიდან გამომდინარე, მშობლის ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

გააფორმონ ხელშეკრულებები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმების საფუძველზე, რომელიც შესაბამისი იქნება და არ შეეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფლიებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- შინაგანაწესი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- განცხადების და საჩივრის განხილვის წესი;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი N1, შეჯამება 1-ელი სემესტრის;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- მშობელთა კრების ოქმი N 1;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- ინკლუზიური სწავლების სამოქმედო გეგმა;
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის დებულება
- ისგ-ს ნიმუში
- მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში გაწერილი აქვს მოსწავლის აკადემიური შეფასების პირობები- პუნქტი 8. კლასისა და საფეხურის დაძლევა, პუნქტი 9- შეფასება და გაცდენები, პუნქტი 10- გამოცდების ტიპები: ქულის გამოანგარიშების წესი. სკოლის ვებ.გვერდზე გააქტიურებულია შესაბამისი გვერდი სახელდებით „ჩარიცხვა" სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოცემულია შემდეგი ინფორმაცია: პირველკლასელთა მიღება, მობილობა, სტატუსის არმქონე პირის ჩარიცხვა, უფლებები და ვალდებულებები. სასკოლო სასწავლო გეგმის პროქტით სკოლა ასევე განსაზღვრავს წლიურ გამოცდასაც სხვადასხვა კლასში სხვადასხვა საგნებში/საგანში, რომლის შესახებაც წინასწარ ცნობილია მოსწავლეთათვის, მშობლებისა და კანონიერი წარმომადგენლებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დამაყოფილებულია

2. სკოლა შემუშავებული მექანიზმების შესაბამისად წარმართავს მოსწავლის ჩარიცხვის,საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. ვიზიტის პერიოდში გადამოწმებულ იქნა ემისის ბაზა, სკოლამ წარმოადგინა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისა და ექსტერნის ჩატარების ამსახველი მასალა, დასკვნა, შესაბამისობის დადგენა, მშობლის განცხადება კონკრეტულ კლასში სწავლის მოთხოვნის შესახებ, ექსტერნატის ფორმით დაძლევის შესახებ გამოცდის ჩატარების მიზნით შექმნილი კომისიის სხდომის ოქმი, ექსტერნზე კონსულტაციის განრიგი. ასევე სკოლას ვებ.გვერდზე მოცემული აქვს ჩარიცხვის დეტალური პროცედურები, წარმოსადგენი დოუმენტების ჩამონათვალი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ მშობელთა კრების ოქმებში, დამრიგებლის დებულებაში, ჩანს, რომ სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში გათვალისწინებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებები ფასიანი წრის სახით: ✓ გახანგრძლივებული; ✓ სხვადასხვა ხელნაკეთი ნივთების შემსწავლელი; ✓ ბალეტის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებები ფასიანი წრის სახით: ✓ ჭადრაკის ✓ ინგლისური ენის ✓ რუსული ენის.

აღნიშნულ მომსახურებებს სკოლა არჩევს მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვისა და ინტერესების გათვალისწინებით. მიმდინარე წელსაც იგივე მომსახურებები არის შეთავაზებული სკოლის მიერ, სკოლამ წარმოადგინა წრის შექმნის ბრძანებები, წრის მშობელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტს დანართის სახით ერთვის წრეების პროგრამები და სამუშაო გეგმები. სკოლა მეორე უცხოური ენის შეთავაზებისას არჩევანის შესაძლებლობას უტოვებს მოსწავლეებს და ქმნის განაყოფებს. მეორე უცხოურ (გერმანულ/რუსულ) ენაში, მოსწავლეთა სიმცირის გამო, სკოლა ქმნის კლასკომპლექტს სხვა პარალელურ კლასებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ ბრძანებით არის დამტკიცებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი, რითაც უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირმა მიიღოს მისთვის საჭირო, საჯარო ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია სკოლაში არსებული პროგრამებისა და სერვისების შესახებ. კლასის დამრიგებლების მეშვეობით სკოლა პროგრამებს, სერვისებს, რესურსებს, დაგეგმილ აქტივობებს აცნობს მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში სკოლა განსაზღვრავს პროგრამებს, სერვისებს, რესურსებს, რომელიც საჯარო დოკუმენტია და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის,სტატუსის შეჩერება-აღდგენის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი
- ვებ.გვერდი- https://school61.edu.ge/
- ექსტერნზე კონსულტაციის განრიგი;
- აღიარება და ექსტერნი-ბრძანებები, ოქმები;
- წრის შექმნის ბრძანება;
- ხელშეკრულება წრის მშობელთან;
- მშობელთა კრების ოქმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---
---

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ,,მოსწავლეთა ადაპტაციის წესი", რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები. წესის გაცნობას სკოლაში დასაქმებული პირებისათვის უზრუნველყოფს სკოლა., სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში ერთ-ერთი თავი ეთმობა ტრანზიციის მხარდამჭერი მექანიზმების აღწერილობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ დამტკიცებულ ,,მოსწავლეთა ადაპტაციის წესში" გაწერილია თუ როგორ უწყობს სკოლა ხელს სწავლის დაწყების მომენტიდან მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. მუხლი 3- მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშველოვანი ფაქტორები, დამრიგებლების მეშვეობით ხორციელდება ყველა საფეხურზე მოსწავლეთა ადაპტაცია, პირველკლასელთათვის ეწყობა ღია კარის დღეები, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციაზე ზრუნავენ ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები. დირექტორის მიერ დამტკიცებული ინკლუზიური განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განხორციელების სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი აქტივობაა სსსმ მოსწავლეთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლას დამრიგებლის მუშაობის დებულებით განსაზღვრული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების მექანიზმები. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში გაწერილია გამოცდის ტიპები (სემესტრული, ექსტერნი, საშემოდგომო, წლიური) სემესტრული გამოცდის საშუალებით მოსწავლეს შეუძლია აიმაღლოს ქულა, მოსწავლეთა ადემიური მხარდაჭერისათვის ექსტერნის გამოცდის წინ ინიშნება კონსულტაციები, საშემოდგომო გამოცდის წინაც სკოლას განსაზღვრული აქვს წინასაგამოცდო კონსულტაციების ჩატარება მოსწავლეებისათვის. გარდა ამისა სკოლას დაგეგმილი აქვს (ახლაც ახორციელებს) შემაჯამებელი დავალებების ანალიზების გაკეთება, რის შემდეგაც გამოვლენილ საჭიროებებზე განახორციელებს შესაბამის ინტერვენციებს/კონსულტაციებს, რაც ეხმარება აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლა განათლების შეუზღუდავად მიღებისათვის მოსწავლეებს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს. სსგ-ის პროექტში გაწერილია შინ სწავლების პროცედურები, სკოლის მხრიდან გასატარებელი ღონისძიებები. სკოლის ვებ გვერდზე მოცემულია მობილობის უფლების, შეზღუდვისა და ვადების შესახებ დეტალური ინფორმაცია. სკოლის წარმომადგენლების თქმით ყველა მოსწავლისთვის ხდება შესაბამისი ცნობის დამზადება გონივრულ ვადებში, ასევე რეგისტრაცია ოლიმპიადებსა თუ სხვა ღონისძიებებზე. სკოლა საქმისწარმოების წესში განსაზღვრავს სხვადასხვა წარმოების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

5. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი. მოსწავლეთა ხარისხიანი განათლების მიღების ხელშესაწყობად და პოზიტიური სასწავლო გარემოს ხელშესაწყობად ქმნის კლასის დამრიგებლებისაგან დაკომპლექტებულ მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფს. წესში გაწერილია ჯგუფის ფუნქციები, მიზანი, წინადადებების წარდგენის წესი და სხვ. სკოლას აქვს ტრადიცია კლუბების შექმნისა და ფუნქციონირებისა, კლუბები არაფორმალური განათლების მიმართულებით არაერთ აქტივობასა და ღონისძიებას ახორციელებენ-ნორჩ ქიმიკოსთა კლუბი ,,ევრიკა 61", სკოლას ჰყავს მოსწავლეთა თვითმმართველობა, თვითმმართველობის დებულებით განსაზღვრულია მოსწავლეთა წინადადებებისა და ინიციატივების წარდგენის პროცედურები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. მოსწავლეთა/მშობელთა უკუკავშირისათვის სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები (ზემოთ ნახსენები კითხვარები forms-ში, კმაყოფილები კვლევის კითხვებით) ჩატარებული აქვს გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგებს, იყენებენ მოსწავლეთა მომსახურების გასაუმჯობესებლად. დამრიგებლების მეშვეობით ადგენს მოსწავლეთა საჭიროებებს და გეგმავს გასატარებელ ღონისძიებებს მოსწავლეთა მოთხოვნებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი-ბრძანება N1/კ-36
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა-ბრძანება N2-405
- დამრიგებლის მუშაობის დებულება
- ექსტერნზე კონსულტირების განრიგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
- ნორჩ ქიმიკოსთა კლუბი ,,ევრიკა”-დებულება

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული განვითარების სერვისებს,კლასის საათის თემატიკით, სასწავლო ექსკურსიებით. სკოლას გაფორმებული აქვს მემორადნუმი IT აკადემიასთან მოსწავლეებს უტარდებათ ტრენინგები პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და სკოლის მოსწავლეებში პროფესიული განათლების უნარების გამომუშავების მიზნით, კურსის გავლის შემდეგ მოსწავლეებს სერტიფიკატები გადაეცემათ. სკოლას სსგ-ის პროექტში გათვალისწინებული აქვს IX-XI კლასებში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარება, ასევე იგეგმება საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში ექსკურსიები და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ინფორმაციას სხვადასხვა პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, პროგრამების შესახებ, როგორც სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში ეწყობა ღია კარის დღეებს სხვადასხვა უნივერისტეტებისგან, სადაც ისინი მოსწავლეებს აცნობენ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებებს. სკოლა სტრუმრობს სხვადაასხვა ორგანიზაციასა თუ ქარხანას და ათვალიერებენიბენ მოსწავლეებს სამუშაო პროცესს. სკოლის წარმომადგენლები ინტერვიუს დროს იხსენებენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანის სკოლაში ვიზიტსაც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით სკოლა გეგმავს კურსდამთავრებულთა გამოკითხვას, რამდენად დაეხმარა მათ სკოლა პროფესიული არჩევანის გაკეთებაში. კვლევის შედეგებს ფიქრობენ, რომ გამოიყენებენ მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ,,IT აკადემისთან" გაფორმებული მემორანდუმი
- მოსწავლის სერტიფიკატი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსგ-ის პროექტში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების პრინციპები, ზოგადი დებულებები, სსსმ მოსწავლის იდენტიფიცირება, ისგ ჯგუფისა და ისგ -ის შექმნის პროცედურები, შეფასების, დასწრებისა და გაცდენების წესი. წარმოადგინა დამტკიცებული ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა (2022-23 სასწ.წელი), რომელშიც გაწერილია წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირებისა და ვადების მითითებით. სკოლა მომავალშიც აპირებს ასე იმოქმედოს. თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ქმნის ისგ-ჯგუფს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ რეკომენდირებული ფორმებით. სკოლას ჰყავს 38 სსსმ მოსწავლე და 4 სპეციალური მასწავლებელი, რამდენიმე ასისტენტი, ფსიქოლოგი. დამტკიცებულია ინკლუზიურ განათლებში ჩართული სპეციალისტის, სპეციალური მასწავლებლის შტატზე ვაკანტური ადგილის შესავსებად კონურსის ჩატარების წესი. სკოლაში ფუნქციონირებს ინტეგრირებული კლასი, საქართველოს განათლებისა და მეცნირების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ,,ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის'' ფარგლებში. აღნიშნული პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის სკოლას დამტკიცებული აქვს ინტეგრირებული კლასის სპეციალური მასწავლებლის, მასწავლებლისა და ფსიქოლოგის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი, წესის მიხედვით დამატებით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ჰყავს ინტეგრირებული კლასის სპეციალური მასწავლებლები, ინტეგრირებული კლასის ფსიქოლოგი და ინტეგრირებული კლასის მასწავლებლები. გარდა ამისა, სკოლას დამტკიცებული აქვს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

წესი, რომელიც განსაზღვრავს მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობას, მათ უფლება-მოვალეობებს, მონიტორინგის განხორციელების მექანიზმებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში კონკრეტულ მოსწავლეზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით იქმნება ჯგუფი, რომლის წევრები არიან კლასის დამრიგებელი, მშობელი, საგნის მასწავლებლები, სპეც მასწავლებელი და ასისტენტი (საჭიროების შემთხვევაში) შესაბამისად ჯგუფის შემდგენლობა სასკოლო საზოგადოების წევრთა ჩართულობის გარანტიაა, ჯგუფის კოორდინატორი (დამრიგებელი) პედაგოგიურ საბჭოს წარუდგენს ანგარიშს მოსწავლის პროგრესისა და სწავლების შედეგებზე. სპეცმასწავლებლებთან ინტერვიუსას დადგინდა, რომ სკოლაში ტარდება საგანმანათლბლო კამპანიები მაგ.: აუტიზმის საერთაშორისო დღესთან, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით და ასევე მომავალში გეგმავენ სხვადასხვა საგანმანათლებლო კამპანიის ჩატარებას ინკლუზიური განათლების საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა(2022-23 სასწ.წელი);
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ინკლუზიურ განათლებში ჩართული სპეციალისტის სპეციალური მასწავლებლის შტატზე ვაკანტური ადგილის შესავსებად კონურსის ჩატარების წესი;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- ისგ სხვადასხვა საგანში.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში, დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების გაწევის მიზნით, ფუნქციონირებს გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფები, გახანგრძლივებულის ჯგუფის მოსწავლეთა მშობლებთან სკოლას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება. სკოლას ასევე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება გახანგრძლივებული წრის მასწავლებლებთან. სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით განსაზღვრავს დამატებითი არასავალდებული ხასიათის მომსახურებას - სხვადასხვა წრეს. გარდა ამისა სკოლას იჯარით გაცემული აქვს სკოლის შენობის გარკვეული ნაწილი, შესაბამისი უფლების მიღების შემდეგ ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან, ბუფეტის მოწყობის მიზნით. როგორც სკოლის დირექტორთან გასაუბრებით გაირკვა, წინა მოიჯარემ ვერ შეძლო იჯარის გადასახადის გადახდა და შეწყვიტა ხელსეკრულება, ახალს კი 2 თვეა, რაც დაწყებული აქვს ფუნქციონირება. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა მოსწავლეთათვის უსაფრთხო კვების შეთავაზების უზრუნველყოფის მიზნით თუ იცავს მოიჯარე კვების უსაფრთხოებას. ბუფეტის მეპატრონემ განაცხადა, რომ ამჟამად არ აქვს, თუმცა აპირებს უახლოეს მომავალში აიღოს ხარისხის უზრუნველყოფის ე.წ. "ჰასპის" სერთიფიკატი.

<u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული პრობლემის მოგვარების ვადებად განსაზღვრულია პერიოდი 13.10.2023-30.12.2023, აღნიშნულ აქტივობაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია მოიჯარე. აქტივობის შესრულების მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა ბუფეტის მეპატრონის მიერ გაფორმებული ხელშეკრულება (მომსახურების ხელშეკრულება) ხელშეკრულების საგანი: წინამდებარე ხელშეკრულებით მომსახურების მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ, იღებს ვალდებულებას დაკეთის საზოგადოებრივი კვების ობიექტში (თბილისის N 61 საჯარო სკოლის ბუფეტი, მდებარე დოლიძის ქ.N3) დანერგოს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების HACCP სისტემა, მომზადდეს ეტიკეტები მზა პროდუქციაზე და საწარმოში მომუშავე პერსონალისათვის გაწიოს სატრენინგო მომსახურება (ჰიგიენური სწავლება).</u> **<u>შესაბამისად აღნიშნული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

2. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების მიწოდების მიზნით, მოსწავლეთა და მშობელთა მოთხოვნის შესაბამისად სკოლის მიერ შეთავაზებულია სხვადასხვა წრე, რომელთა ფუნქციონირება ნებაყოფლობით პრინციპზეა. ვიზიტის პერიოდში სკოლაში ფუნქციონირებდა რუსული ენის, ბალეტის, ინგლისურის, ჭადრაკის და სხვადასხვა ხელნაკეთი ნივთების შემსწავლელი წრე. წარმოდგენილია წრის პროგრამები გარდა ამისა მოსწავლეებს საშუალება აქვთ ადგილზე მიიღონ სხვადასხვა მომსახურება სკოლაში იჯარის სახით ფუნქციონირებს შემდეგი წრეები: ქართული ცეკვის, მხატვრული ტანვარჯიში, კარატე, კალათბურთი, ფრენბურთი, მუსიკალური სტუდია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის დამატებით მომსახურებები, რომლებიც არ საჭიროებენ რაიმე სახის უფლების მოპოვებას ფუნქციონირებისთვის და შესაბამისად დამატებით არაა უზრუნველყოფილი უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული ნორმების დაცვა, თუმცა სასკოლო რეგულაციებით დაცულია მოსწავლეთა და მომსახურე პერსონალის უსაფრთხოება და უფლებები, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს სკოლის ტერიტორიაზე მოქმედი უსაფრთხოების ზოგადი წესები, რომელიც რეგულირდება შინაგანაწესით ან/და “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობები”, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხელშეკრულება გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებელთან;
- ხელშეკრულება გახანგრძლივებული ჯგუფის მოსწავლის მშობელთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

- ესგ-თი გაუთვალისწინებელი დამატებითი ფასიანი მომსახურების გაწევის მიზნით ,,სხვადასხვა ხელნაკეთი ნივთების შემსწავლელი"წრის შექმნის ბრძანება;
- ბალეტის წრის პროგრამა;
- რუსული ენის წრის პროგრამა;
- სხვადასხვა ხელნაკეთი ნივთების შემსწავლელი წრის პროგრამა;
- ბუფეტის მეპატრონის ხელშეკრულება „HACCP" სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☑ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი - დაწყებითი საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივი ექსპერტები ადასტურებენ,რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, მეთოდოლოგიური პრინციპები, ხაზს უსვამს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აუცილებლობას და გულისხმობს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების და დირექციის აქტიურ ჩართულობას სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინების მიზნით. სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია სკოლამ წარმოადგინა მოთხოვნის შემდეგ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. საგნობრივი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, კერძოდ, სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, პროფესიული და კარიერული დაგეგმვის მიმართულებით, გაწერილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლაში არსებული ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებები ფასიანი წრეების სახით.საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული დიფერენცირებული სწავლის მიდგომები, რაც დასტურდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშების წარმოდგენით

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. საგნობრივი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ინტერვიუებიდან, მოსწავლეთა, მშობელთა მიერ შევსებული კითხვარებიდან, კათედრის მასალებიდან, მშობელთა კრების ოქმებიდან ჩანს რომ კურიკულუმი სასკოლო საზოგადოების ჩართულობით არის შემუშავებული. სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლა აქტიურად ახორციელებს შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან, ღია კარის დღის დაგეგმვით სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით და პედაგოგიურ საბჭოზე განხილვით კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა გააქტიურებულია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. ყველა საგნობრივი ექსპერტი მიიჩნევს, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლა, კურიკულუმის გაზიარების ორ განსხვავებულ ნაწილს გამოკვეთს, პირველად აღნიშნულია ის ფაქტი, რომ თავად კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიური ჩართულობა იწვევს ჩართულ მხარეებში პასუხისმგებლობისა და მიკუთვნებულობის განცდას. აღნიშნულია მშობლების ნაწილში, მათი მყისიერი ინფორმირების გზად ,,მშობლის ბარათის“ გამოყენება. კურიკულუმის შინაარსობრივი ნაწილის აქტიური გაზიარებისთვის უზრუნველყოფილია, როგორც მატერიალური აგრეთვე ელექტრონული საშუალებები, სკოლის მისაღებ სივრცეში საინფორმაციო დაფის და აგრეთვე სკოლის ვებ გვერდისა თუ ფეისბუქ გვერდის გამოყენება. სკოლას სასკოლო საზოგადოების ინფორმირების პოლიტიკა დაფიქსირებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიურ დოკუმენტში და ასახელებს საზოგადოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინფორმირების შემდეგ წყაროებს: სკოლის ვებ გვერდი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტის ელექტრონული ბრუნვის სისტემა, პორტალი ვებ გვერდზე, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები, საჯარო ღონისძიებები, ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- მშობლებთან შეხვედრის ოქმი;
- გასასვლელი ბარათები;
- კურიკულუმის ჩარჩოები(1-6კლ);
- დაწყებითი კათედრის ანგარიში;
- მშობელთა კითხვარების ბმული;
- ისგ-ს ნიმუშები;
- სკოლის ვებ.გვერდი;
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი წესი

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---
---

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტები, საგნობრივი მიმართულებით წარმოდგენილ კურიკულუმებს აფასებენ, როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება საფეხურეობრივი სტანდარტსი შედეგებსა და სამიზნე ცნებებზე ორიენტირებასა და კომპლექსურ დავალებას, როგორც შუალედურ მიზანს. თავად შუალედური მიზნის საინტერესოდ წარმოსაჩენად იყენებს მოსწავლეთათვის ნაცნობ თემატურ ბლოკებს. გამოკვეთილია მეტაკოგნიციის წახალისების ფაქტები, მეტაკოგნიციის მისაღწევი კითხვების ინტეგრირებით საგაკვეთილო პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. საგნობრივი მიმართულებით ყველა ექსპერტი თვლის, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს 6-ვე გლობალურ-ფუნქციური უნარის -კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, შემოქმედებითობის, ნებელობის და მოქალაქეობის გააქტიურებას, წახალისებას და გაცნობიერებას. მასწავლებლებმა კათედრის შემაჯამებელ ანგარიშში წარმოადგინეს ისეთი აქტივობები, პროექტები, რომლებიც ფუნქციური უნარების განვითარებას ისახავდა მიზნად. აღინიშნა, რომ იმავე აქტივობებს განახორციელებენ მომდევნო სასწავლო წელს და გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. გარდა, ამისა, წარმოდგენილია რამდენიმე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროექტის გეგმა, ცალკეული აქტივობების ამსახველი მასალაც, რაც ფუნქციური უნარების განვითარებაზე მიანიშნებს. **უცხოური ენების მიმართულების ექსპერტი იძლევა რჩევას, საგნობრივ კურიკულუმებში, დაწყებით საფეხურზე სასურველია, ყველა შემთხვევაში იყოს დაზუსტებული სამიზნე ცნებები შესაბამისი ქვეცეცნებებითა და ქვესაკითხებით.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. საგნობრივი ექსპერტები ადასტურებენ, რომ სასწავლო პროცესი დიფერენცირებული, ინკლუზიური მიდგომით არის დაგეგმილი. კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება გამოხატონ მრავალი და მათთვის ეფექტური საშუალებით. კათედრის წარმომადგენლები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, რომ რამდენჯერმე შეცვალეს შესაქმნელი პროდუქტი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, მაგრამ საკითხი და გრძელვადიანი მიზანი უცვლელი დარჩა. სკოლას, სასკოლო საწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების ჩანართი, სადაც გაწერილი არის ეტაპები სტატუსის მინიჭებიდან სამოქმედო გეგმამდე. გარდა ამისა სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა,ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება, შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი, რომელიც მიზნად ისახავს სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების მიღების კონტროლს. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს ინდ. გეგმების განხორციელების ჩარჩო რამდენიმე მაგალითით.

ტექნოლოგიების საგნის ექსპერტის მიერ საგნის მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, მოახდინონ კურიკულუმით განსაზღვრული კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება, ისე რომ მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს და მოახდინონ მათი ადაპტირება კლასის მოსწავლეებზე, რათა თითოეულ მოსწავლეს ჰქონდეს მისი სხვადასხვა სახით ან სხვადასხვა ტიპის რესურსებით განხორციელების შესაძლებლობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფიოლებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

4. საგნობრივი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს, სკოლა განმსაზღვრელი შეფასებისათვის იყენებს ესგ-ს მიერ განსაზღვრულ პირველ მოდელს. როგორც მასწავლებელთა ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, განმავითარებელი შეფასების წილი დიდია სწავლების პროცესში. პედაგოგები განმავითარებელ შეფასებას არ გამოყოფენ სასწავლო პროცესიდან, არამედ პირიქით მის ნაწილად აღიქვამენ მას. კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების ნაწილში ეყრდნობიან სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს. წახალისებულია მოსწავლეთა თვითრეფლექსიაც. ნაწილი საგნობრივი ექსპერტებისა, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს გაეცნო მოთხოვნის შემდეგ და თვლიან, რომ მასწავლებლებს ესმით, როგორ უნდა შექმნან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და წარმოადგინეს ნიმუშის სახით შექმნილი შეფასების რუბრიკები.

სპორტის საგნობრივი მიმართულების ექსპერტის რჩევა: სამომავლოდ შეფასების რუბრიკები ჩაიშალოს თემების მიხედვით.

ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის რჩევა: შეფასების სისტემა საჭიროებს დამუშავებას, სამიზნე ცნენებთან,ქვეცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან თანხვედრას,რათა გახდეს ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. ყველა ექსპერტი მიიჩნევს, რომ სკოლა დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, რაც დასტურდება კათედრის ოქმებით, განხორციელებული კომპლექსური დავალებების ანალიზის ფორმებით,სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში მასწავლებელი თავის ვალდებულებად განსაზღვრავს აღწეროს და გაანალიზოს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით და ამით უზრუნველყოს მონაცემთა ბაზის განახლება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (2023-24წწ);
- შეფასების ინსტრუმენტები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივი ექსპერტები ამბობენ, რომ წარმოდგენილი კურიკულუმის და გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ მოსწავლე აქტიურად იქნება სასწავლო პროცესში ჩართული. ამის დასადასტურებლად ზოგ საგნობრივ ექსპერტ მოყავს განხორციელებული კომპლექსური დავალებები, რომლებიც სკოლამ თავისი სურვილით წარმოუდგინა, ზოგს მოყავს განხორციელებული პროექტები, ზოგს თემატური მატრიცები. ექსპერტების თქმით ინტერვიუს პროცესში პედაგოგები ამბობდნენ, რომ აქტივობები რომელსაც კომპლექსური დავალებები მოაიზრებს მოსწავლეს ეხმარება განივითაროს გაანალიზების, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის უნარები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და მათი განხორციელების დაგეგმვა, საშუალებას იძლევა დავასკვნათ , რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის კონსტრუირებას. ამასტან ერთად ზოგმა დაასახელა ინსტრუმენტები - წინარე ცოდნის გასააქტიურებლად - შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, კოგნიტური სქემები, დიორამების შექმნა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებმაც მოსწავლეები უნდა დააფიქროს სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. შერჩეული კომპლექსური დავალებები მოსწავლის მხრიდან მოითხოვს მსჯელობას საკუთარ გამოცდილებასა და ინტერესზე, გადაწყვეტილების პროცესში საკუთარ პოზიციასა და დასკვნების ვალიდურობაზე. მოსწავლეს ეძლევა საშუალება ახსნას რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელიშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა. ყოველივე ეს, ეხმარება მოსწვალეს საკუთარი აკადემიური (და არა მხოლოდ აკადემიური) თვითცნობიერების განვითარებაში. ექსპერტები ამბობდნენ, რომ მასწავლებლებმა წარმოადგინეს განხორციელებული კომპლექსური დავალებები. ტექნოლოგიების ექსპერტმა დაასახელა კონკრეტული კომპლექსური დავალება “მზის სისტემა”. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა გამოკვეთეს მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის და საკუთარი მოსაზრების თამამად გამოხატვის შესაძლებლობის შესახებ. კომპლექსური დავალების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, გამოკვეთილი მისაღწევი მიზანი ანუ პროდუქტი და ეტაპებად დროში გაწერილი აქტივობები უბიძგებს მოსწავლეს დასახოს მისი შესრულების სტრატეგიები და თავად შეაფასოს იგი, ან მიიღოს უკუკავშირი მოსწავლის ან თანატოლისგან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ისეა აგებული, რომ ყურადღება მახვილდება ცოდნის სამ კატეგორიაზე. მომავალი წლის სასწავლო კურიკულუმი მოსწავლეებს სთავაზობს იმგვარ ამოცანას, სადაც პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება მოუწევთ. უცხოური ენების ექსპერტმა დააკონკრეტა და თავა, რომ დეკლარატიული სახის ინფორმაცია მიწოდებულია მთავარი თუ დამატებითი რესურსით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მაგალითისთვის კონკრეტული კომპლექსური დავალების ნაწილში, მოსწავლე ამუშავებს წიგნს Building blocks დამატებით რესურსად უყურებს ვიდეოს Talking about my daily routine და აკეთებს გრამატიკას ვიდეო ქვიზის დახმარებით. ყველა აღნიშნული რესურსიდან შესრულებული დავალება ეხმარება მოსწავლეს გაიმყაროს ფაქტობრივი ცოდნა თემის შესახებ. საკვანძო შეკითხვები კი მაგალითად: როგორ , რა სტრატეგიების გამოყენებით გავითამაშო ინტერვიუ ? მოსწავლეს უბიძგებს პროდეცურული ცოდნის მიღებისკენ, ხოლო ავად კომპლექსური დავალების პირობა : ჩამოართვი ინტერვიუ თანაკლასელს მისი ერთი ჩვეულებრივი დღის შესახებ , მოამზადე როლური თამაში და წარუდგინე თანაკლასელება - ააქტიურებს მოსწავლეებში პირობისეული ცოდნის მიღების პროცესს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. მომავალის სასწავლო წლისთვის დაგეგმილი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები და პროექტები იძლევა იმის საფუძველს რომ 2023 – 2024 სასწავლო წელს სასწავლო პროცესის წარმათვისას, დაწყებით საფეხურზე შერჩეული თემები და საკითხები, რომლებიც მუშავდება თემატურ მატრიცებსა და კომპლექსურ დავალებებში მოსწავლეებს აძლევს საშუალებას განაზოგადონ მიღებული ცოდნა და დაუკავშირონ ის ლიტერატურაში, მათემატიკაში, ბუნებაში ან სხვა საგანში ნასწავლ/შესასწავლ მასალას და დაუკავშირონ პირად გამოცდილებას.პედაგოგემა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ დაწყებით კლასებში აქტიურად იყენებენ გაკვეთილების ინტეგრირებულად ჩატარების პრაქტიკას, რაც ასევე ხელს უწყობს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

- მასწავლებლებთან გასაუბრება;
- კომპლექსური დავალება "მზის სისტემა";

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. ტექნოლოგიების ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ იმის გამო, რომ წარმოდგენილია კომპიუტერული ტექნოლოგიების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საგნობრივი კურიკულუმის მხოლოდ ჩარჩო დოკუმენტი, მასში არ ჩანს, თუ როგორაა უზრუნველყოფილი კავშირი სამიზნე ცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს და საკვანძო შეკითხვებს შორის.

ინტერვიუს დროს მოთხოვნისას მასწავლებლებმა ისაუბრეს და წარმოადგინეს განხორციელებულ კომპლექსური დავალებების შესახებ, რომლებშიც ხდება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების პირობის და მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები, როგორც მტკიცებულება იმისა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილ დავალებებზე მუშაობის პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არის მოსწავლის თვითრეფლექსია, ასევე კლასის საათი, რომელშიც განხილულია ისეთი თემები, როგორიცაა: „კამათი და ჩხუბი “, „ჯანსაღი ცხოვრების წესი“, „არა ძალადობას“, „მეგობრობა“ და ა.შ. რომლებზე მუშაობის დროსაც, მოსწავლეს საშუალება ექნება მოახდინოს თავისი თავის შეცნობა, კონფლიქტების გადაჭრის გზების დასახვა, რაც მის პიროვნებად ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს განმავლობაში პედაგოგებმა განაცხადეს, რომ მოსწავლეებს მოსწონთ არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის მიღება, ამისათვის კი ისინი ცდილობენ შეძლებისდაგვარად განახორციელონ სოციალური პროექტები. ემოციური ინტელექტის განვითარებისთვის კი იყენებენ ჯგუფურ სამუშაოებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. საგნობრივი კურიკულუმები, განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და შესაბამისად მათი შეფასების სქემები გვაძლევს იმის საშუალება, ვიფიქროთ რომ სწავლის პროცესი და შეფასების სისტემა ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სახელმწიფო ენის საგნობრივმა ექსპერტმა მოიყვანა კონკრეტული მაგალითი. ინსტრუმენტი 1. ჩანაწერების დღიური. ინსტრუმენტი 2. მოსწავლის ან წყვილის მიერ შევსებული თვითშეფასების სქემა. ინსტრუმენტი 3. გამოსასვლელი ბარათი. ინსტრუმენტი 4. ოთხდონიანი რუბრიკა მოსწავლის განვითარების დინამიკის შესაფასებლად ,კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები არა მარტო ფაქტობრივ ცოდნას, არამედ ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტურალურ ყველა გარემოებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. საგნობრივი ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. შეფასების რუბრიკები ეყრდნობა კრიტერიუმებს. და ამით უზრუნველყოფენ მის ვალიდურობას, გამჭვირველეობის პრინციპს კი იცავენ იმ ფაქტით, რომ აზუსტებენ ნამდვილად გაიგო თუ არა მოსწავლემ დავალების პირობა და ის თუ როგორ შეფასდებიან ან/და შეფასების რუბრიკის შექმნისას ითვალისწინებენ დავალების შინაარსის შეთანხმებას მოსწვალეებთან. ინტერვიუს გზით გამოვლინდა დადებითი პრაქტიკა, რომ მასწავლებლები მუდამ წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს.

   განსხვავებით სხვა ექსპერტებისგან ესთეტიკური აღზრდის საგნობრივმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ <u>ესთეტიკურ კათედრას არ აქვს შემუშავებული მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტები, ეს გამოიკვეთა მათ მიერ მესამე კლასის</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპლექსური დავალების SWOT ანალიზი. შეფასების სისტემა საჭიროებს დამუშავებას, სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან თანხვერას, რათა გახდეს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. და მისცა რჩევა: - ***შეფასების სისტემა საჭიროებს დამუშავებას,სამიზნე ცნებებთან,ქვეცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან თანხვერას, რათა გახდეს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.***

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რადგან სხვა კათედრებზე შემუშავებულია შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი სქემები/რუბრიკები, რომლებიც აკმაყოფილებენ ინდიკატორის მოტხოვნებს, მოხდება გამოც დილების გაზიარება კათედრებს შორის და ესთეტიკური კათედრაც შეძლებს შეიმუშაოს და გამოიყენოს შესაბამისი შეფასების სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. საგნობრივი ექსპერტები შესწავლილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე ასკვნიან, რომ- სწავლების შედეგების შეფასების უზრუნველყოფის მექანიზმი, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება, გაწერილია და წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, სტრატეგიული გეგმის პროექტში, კათედრის სხდომის ოქმში. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემა, რომელიც ადგენს სასწავლო პროცესის შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს ხარისხის ჯგუფის შეხვედრების ოქმები, რომლებშიც მიმოხილულია კონკრეტული მაგალითები და ქეისები, საიდანაც ჩანს, რომ სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. სკოლას აქვს ხედვა და მზაობა განაგრძოს მუშაობა შეფასების ვერიფიკაციის სისტემის გამართვა - განვითარების მიმართულებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

6. ექსპერტები ზოგადად აღნიშნავენ, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვას, დაასახელეს სხვადასხვა ტიპის დოკუმენტები და მისი შენახვის სხვადასხვა ვადები. პირადი საქმის შენახვას - 75 წლით, შემაჯამებელი დავალებები - 1 წლის ვადით, ზოგიერთმა დაასახელა, რომ შეფასების შესახებ ინფორმაციას ინახავენ არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლას ეძლევა **რჩევა შეიმუშაოს ერთიანი მიდგომა შეფასების მონაცემების შესახებ რათა სკოლაში არსებობდეს ერთიანი და ერთნაირი მიდგომა**.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები;
- კლასის საათის მასალები;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტების საერთო აზრით წარმოდგენილი კურიკულუმები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მეთოდები და სტრატეგიები, შეფასების რუბრიკები და კომპლექსურ დავალებები, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებიდან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება და იკვეთება მომავალშიც მზაობა, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი გულისხმობს მოსწავლისთვის საინტერესო დავალებებს მიცემას, მოსწავლისთვის ნაცნობ კინტექსტში და მრავალფეროვან რესურსებს, საინტერესო აქტივობებს და სწორ განმავითარებელ შეფასებას, რაც ჩანს კურიკულუმებში. მასწავლებლებმა დაგვანახეს თავიანთი სწორი ხედვა ამ მიმართულებით, მათ საუბრისას მოიყვანეს სხვადასხვა მაგალითები პრაქტიკიდან. უნდა აღინიშნოს რომ ისინი ხშირად უზიარებენ ერთმანეთს მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციას და აქვთ მზაობა მომავალშიც სასწავლო პროცესი წარმართონ მოსწავლეზე ორიენტირებულად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. მასწავლებლებთან ინტერვიუზე გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის კათედრის მასწავლებლები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. გარდა ამისა, სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად ახორციელებს შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან (ღია კარის დღე მშობლებთან, თემატური შეხვედრები მასწავლებლებთან/სპეც მასწავლებლებთან), იზიარებენ მათ უკუკავშირს და აქვთ სიახლეების მიმღებლობა. ტექნოლოგიების ექსპერტი აღნიშნავს, რომ სკოლის ციფრული განვითარების გეგმაში წერია, რომ სკოლა გეგმავს oneDrive-ზე შექმნას ელექტრონული საცავი რომელშიც შენახული და შესაბამის თანამშრომლებთან გაზიარებული იქნება ინფორმაცია და ყველა საჭირო ფაილი. ყოველივე ეს მიუთითებს სკოლასი თანამშრომლობით კულტურისა და კომუნიკაციის არსებობაზე.

ინდიკატორის მთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური გარემო, ეს კარგად ჩანს დაწყებითი საფეხურის კათედრის მასწავლებელთა შეხვედრიდან. ასევე ამაზე მეტყველებს მასწავლებლების მიერ განხორციელებული აქტივობები და პროექტები. სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიურ გარემოს როგორც სკოლის ასევე კლასის დონეზე, გარდა ამისა ინტერვიუს პროცესში პედაგოგების მხრიდან არაერთგზის დაფიქსირდა მოსწავლეებთან კოლეგიალური და მეგობრული ურთიერთობის არსებობის შესახებ, როდესაც მოსწავლეებს შეუძლიათ სწავლის პროცესში გამოვლენილი ნებისმიერი მათთვის საინტერესო საკითხით მიმართონ პედაგოგებს, რაც კიდევ მეტად ახდენს მათი მხრიდან პროცესებში აქტიურად ჩართვის ფაქტებს. სპორტის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში ყოველთვის ატარებდნენ სპორტულ საკლასო და სასკოლო ღონისძიებებს, რაც ხელს უწყობს პოზიტიური კლიმატის შექმნას.

ინდიკატორის მთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- SWOT ანალიზი III კლ.
- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივი ექსპერტები თვლიან, რომ სკოლას კურიკულუმის განვითარების მეთოდილოგიაში განსაზღვრული აქვს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები წარმოადგენს პრინციპებს რომელსაც ეფუძნება ციკლური პროცესი და, რომ კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლა პროცესში სვამს ორ ძირითად კითხვას : რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს მიხედვით და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. სკოლა დიაგნოსტირებას მიმართავს მომავალ წელს ორ საგანში, რომელიც გაწერილი აქვს სასკოლო გეგმის პროექტშიც. საგნობრივი კათედრების ფუნქციებს შორის გამოკვეთილია გამოცდილების გაზიარება, წარმატებული პროცესის წინაპირობის განსაზღვრა. აგრეთვე თითოეული მასწავლებლის მიერ კლასების მიხედვით ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს წამოჭრილი პრობლემების ანალიზი. სკოლა წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის პროექტს, სადაც ხარისხის ამაღლების მიზანი ჩაიშლება ოთხ კომპონენტად, რომელშიც შეფასება კვლავ ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად რჩება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. ექსპერტები ადასტურებენ, რომ მონიტორინგი და შეფასება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად ხორციელდება. კურიკულუმის მიხედვით წარმართული სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შეფასების მიზნით განიხილავენ შემდეგ ინსტრუმენტებს: ურთიერთდასწრებას, თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას, კათედრაზე შედეგების განხილვას მეთოდოლოგიაში ჩანს როგორც ანგარიშვალდებულებები, ასევე მოსწავლეების მიღწევების და მხარდაჭერის მექანიზმები. აგრეთვე მონიტორინგის შედეგების მიმართვა სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ჩანს ცალკეულ ინსტრუმენტებში, რომლებიც სკოლამ წარადგინა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლა მონიტორინგისა და შეფასების შედეგად განსაზღვრავს ძლიერ და სუსტ მხარეებს, ხელის შემშლელ ფაქტორებს, გამოწვევებს და პრობლემის იდენტიფიცრების შემდეგ ზრუნავს მისი გადაჭრის გზებზე. ექსპერტები აღნიშნულ პროცესს ხედავენ მიმდინარე აქტივობების დროს: მასწავლებლების პროფესიული საჭიროების დადგენა და ზრუნვა პროფესიულ განვითარებაზე, კათედრებისგან გაცემული უკუკავშირი, თემის ბოლოს რიგი საკითხების გადაჭრა. სკოლას სტრატეგიული გეგმის პროექტში აქვს წარმოდგენილი ჩანართი სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/ განხორციელების შესახებ, რომელიც სკოლას ავალებს სხვადასხვა ტიპის კითხვარების შემუშავებას, მოსწავლეთა მასწავლებელთა და მშობელთა პერიოდული გამოკითხვას პროცესთან დაკავშირებული საჭიროების კვლევის მიზნით, რომელსაც უხელმძღანელებს დირექტორი და დირექტორის მოადგილე.საგაკვეთილო პროცესზე დასწრება, შედეგების ანალიზი და შესაბამისი ღონისძიებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაგეგმვა/განხორციელება, სადაც ჩართულ მხარეებად მოიაზრებიან დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, საგნობრივი კათედრები.

ტექნოლოგიების ექსპერტი: სკოლის მიერ ცალკე დოკუმენტის სახით წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის განხორციელებული მონიტორინგის ანალიზის დოკუმენტი, რადგან ჯერ ამ კურიკულუმით მუშაობა სკოლას არ დაუწყია, სავარაუდოდ, აღნიშნული ანალიზის დოკუმენტი სამომავლოდ შეიქმნება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებლებთან გასაუბრება;
- სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი 2023-2024;
- ხარისხის ჯგუფის ოქმები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- კათედრის დებულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სხდომის ოქმი განმავითარებელ შეფასებაზე N2,
- კათედრის ოქმი ურთიერთდასწრების დაგეგმვაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ექსპერტები მიიჩნევენ რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს: სასწავლო პროცესზე დაკვირვება, კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალებები, მასწავლებლის პორტფოლიო,, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენების შედეგები, შემაჯამებელ წერების შედეგები, საკლასო და საშინაო დავალების შესრულება, ქვიზების გამოყენება, სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობა, არაფორმალური განათლება. გარდა ამისა სკოლა წარმოადგენს მონაცემთა შეგროვების სხვა ხერხებს : მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება და შედეგების ანალიზი, განმავითარებელი კომენტარი, მასწავლებლისა და მოსწავლის თვითრეფლექსია, მასწავლებლების მიერ კათედრაზე განხილული გამოწვევები თუ წარმატებული ქეისები, კითხვარების საშუალებით მშობლებისგან მიღებული ინფორმაცია, მასწავლებლების მიერ მშობლებისთვის კრებებზე გაზიარებული ინფორმაცია და მათგან მიღებული უკუკავშირი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ჰოლისტური ხასიათისაა, ექსპერტები მასწავლებლებლებთან ინტერვიუს დროს გამოკვეთენ მათ მიერ შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტზე ყურადღების გამახვილებას, როგორებიცაა : კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. სკოლა გამოკვეთს კომპლექსური ბუნების დავალებას როგორც საშუალებას, მოსწავლის სხვადასხვა ტიპის აქტივობაში ჩართულობის შესაფასებლად მისი ინდივიდუალური კოგნიტური უნარებისა თუ ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით.შემაჯამებელი განმავითრებელი შეფასებისას გათვალისიწნებულია სხვადასხვ საგნის მასწვალებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწვალის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. შესწავლილი მასალებისა და ექსპერტთა მიერ მასწავლებლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ, როგორიცაა ინტერვიუები, კითხვარები, კვლევები და ა.შ. ჩაატრებულია ფორმსის მეშვეობით მასწავლებელთა/მოსწავლეთა/მშობელთა გამოკითხვა. სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. შესაბამისად 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება სხვადასხვა საგანში ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. სკოლის ციფრული განვითრების გეგმაში აღნიშნულია, რომ სამომავლოდ ვებ.გვერდს დაემატება გვერდები რომელთა საშუალებითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და მონაცემების შეგროვება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. შესწავლილი მასალებიდან ჩანს, რომ სკოლა შეფასებას ახორციელებს მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.ექსპერტები მასწავლებელთა გამოკითხვების შედეგად ამბობენ,რომ შეფასებისას პურველ რიგში ითვალისწინებენ, მოსწავლეების შესაძლებლობებს, საჭიროებებეს, ინტერესებს., მომავალი სასწავლო წლიდან კი იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვა. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება როგორც მოსწავლის აკადემიური დონე, ასევე მოსწავლის განვითარების დინამიკა, განვითარების პროცესი. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას განაგრძონ ამ მიმართულებით მუშაობა.

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი წერს, რომ დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი შეფასება (V-VI)კლასი წარმოდგენილი არ არის, განმსაზღვრელის რუბრიკებზე მსჯელობა საბაზოს საფეხურის წარმოდგენილი შეფასების სქემით შეიძლება, თუმცა სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში მრავალფეროვანი აქტივობების გამო საჭიროა დავალებების ადექვატური შეფასებების რუბრიკების შედგენა და **იძლევა რჩევას**: *სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში მრავალფეროვანი აქტივობების გამო საჭიროა დავალებების ადექვატური შეფასებების რუბრიკების შედგენა.*

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი 2023-2024;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- ხარისხის ჯგუფის ოქმები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- კათედრის დებულება;
- სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი;
- დაწყებითის კურიკულუმები ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- გასასვლელი ბარათი;
- მასწავლებლის თვითშეფასება.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---
---

1. სკოლამ ვიზიტის დროს შეიმუშავა "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". დოკუმენტის მიხედვით კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე, ასევე ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილების საფუძველზე. დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია მიმართულებები, რომლის მიხედვითაც მოხდება მონაცემების მოპოვება და ასევე განსაზღვრულია პროცესში ჩარტული მხარეები, რომელთა შორის არის კათედრაც.

   ინტერვიუს დროს საგნობრივი კათედრები ამბობდნენ, რომ კურიკულუმის გადაფასდებისთვის რეკომენდაციების შემუშავება მოხდება საგნობრივ კათედრებზე, საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი კათედრის სამუშაო შეხვედრებზე. კათადრაზე მოხდება გამოცდილების გაზიარება. როგორც ინტერვიუზეც გამოიკვეთა მასწავლებლებს აქვს კარგი თანამშრომლობითი გამოცდილება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" მიხედვით სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შესაქმნელად საჭირო აქტივობებად სკოლა ასახელებს კათედრაზე მიმდინარე პროცესებს, მაგალითად გამოცდილების ურთიერთგაზიარება, მონაცემთა ანალიზი და მის საფუძველზე გამოვლენილი წამატებული თუ ხარვეზის შემცველი გამოცდილების გამოყენება. სკოლა მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით გეგმავს რევიზიის ნაწილში აქცენტი გააკეთოს შემდეგ მნიშვნელოვან მომენტებზე: როგორი იყო მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, რა უშლიდათ მათ ხელს? როგორ გაუმჯობესდა ან რატომ ვერ გაუმჯობესდა მოსწავლეთა შედეგები წინა წელს? როგორი იყო მშობლებთან კომუნიკაცია და რა ფაქტორები უწყობდა ან უშლიდა ხელს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

მათ ჩართულობას? როგორ იმუშავეს კათედრებმა, რისი გაუმჯობესება იქნებოდა შესაძლებელი, როგორი იყო დირექციის ჩართულობა ციკლურ პროცესში, რა განმაპირობებელი ან ხელის შემშლელი ფაქტები გამოვლინდა?

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

"კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია" და მისი დამტკიცების ბრძანება N1/კ-67, 14.06.2023

- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი - საბაზო საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. ურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა კურუკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. მასწავლებლები საბაზო საფეხურის კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, ისინი აცნობიერებენ წინარე გამოცდილებას და იცნობენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. კურიკულუმი ვითარდება მშობლების, მოსწავლეების და დირექციის აქტიური ჩართულობით. შემუშავებული კურუკულუმის განთავსება ხდება სკოლის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის გასაცნობად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლამ საბაზო საფეხურის კურიკულუმების განვითარების პროცესით მოახერხა აესახა სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლის მიერ სასკოლო გეგმის ძირითად მეთოდიკურ ორიენტირებში გამოკვეთილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის მნიშვნელობა სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების ნაწილში, შექმილი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და გეგმით განსაზღრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს. კურიკულუმის შემუშავება ხდება კათედრის მასწავლებლების მიერ, ისინი კათედრაზე განიხილავენ შემუშავებულ კურიკულემს, რომელიც განთავსდება სკოლის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია როგორც მშობლისთვის ასევე მოსწავლეებისთვის. კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. ბუნებისმეტყველების კათედრის მასწავლებლებმა ინტერიუზე აღნიშნეს, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება ხდება ე.წ. „სასკოლო მენიუს“ საშუალებით, რაც მეტ შესაძლებლობას იძლევა დაადგინონ მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები.სხვა ექსპერტი ასევე აღნიშნავს კურიკულუმის შემუშავებას სასკოლო საზოგადოების გაზიარებით. მშობლებს ეგზავნებათ კითხვარები მშობელთა ინტერესებისა და ჩართულობის მეტად გამოსაკვეთად რაც კიდევ ერთხელ პასუხობს სკოლის მიერ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში არსებულ ჩანაწერს იმის შესახებ, რომ კურიკულუმი ვითარდება მშობლების აქტიური ჩართულობით. მშობლებთან აქტიური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად სკოლა იყენებს სხვადასხვა ფორმატს: კრებებს, სატელეფონო საშუალებებს, სოციალურ ქსელებს. სკოლა მოსავლეთა ინტერესების გათვალისწინებით და ადმინისტრაციასთან შეთანხმებით გეგმავს არაფორმალური აქტივობების ციკლს, როგორებიცაა: სპორტულ კულტურული ღონისძიებები, ექსკურსიები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლამ წარმოგვიდგენა ცალკეული ინსტრუმენტები კონკრეტული პროცესის შესაფასებლად, სასკოლო ცხოვრების, აქტივობების ამსახველი მასალა, კურიკულუმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დოკუმენტები/აქტივობები/მასალა, კურიკულუმის ჩარჩოები, რომელიც წარმოაჩენს კურიკულუმის შემუშავების/განვითარების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. გასაუბრების პროცესში მათ აღნიშნეს, რომ კათედრაზე ერთობლივად შეიმუშავეს კურიკულუმის ჩარჩოები. ასეთივე აზრი აქვს სხვა ექსპერტს, რომელიც ამბობს, რომ პროცესი ციკლურია და საჭიროებს საზოგადოების წევრების ჩართულობას მთელი წლის მანძილზე და არა ფრაგმენტულად. მეთოდოლოგიის თანახმად, სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლა აქტიურად ახორციელებს შეხვედრებს სასკოლოს საზოგადოებასთან, ღია კარის დღის დაგეგმვით, ან ატარებს შესაბამის თემატურ შეხვედრებს მასწავლებლებთან ან სამეურვეო საბჭოსთან. საბოლოო გეგმა უზიარდებათ მშობლებს კლასის დამრიგებლების მეშვეობით, სასკოლო სასწავლო გეგმა გამოკრულია საჯაროდ სკოლის შენობაში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი სასკოლო საზოგადოების წევრისთვის. სხვა ექსპერტმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობა დაინახა არაფორმალური განათლების მიმართულებითაც და ამბობს, რომ სკოლაში არსებული წრეები შექმნილია მშობელთა ჩართულობით და მათი ინტერესების გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ გამოკვეთილია კურიკულუმის გაზიარების ორი განსხვავებული ნაწილი. პირველად აღნიშნულია ის ფაქტი, რომ თავად კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიური ჩართულობა იწვევს ჩართულ მხარეებში პასუხისმგებლობისა და მიკუთვნებულობის განცდას. მეორეც, სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის მაგ: საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები. სპორტის ექსპერტიც ეთანხმება გაზიარებას და ამბობს, რომ ფესტივალების მოწყობით კონფერენციების გამართვით და საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობით, კურიკულუმს იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (კონცეპტუალური ნაწილი)

საგნობრივი კურიკულუმები

ფოტო -საინფორმაციო დაფა

მშობლის ბარათი

მოსწავლეთა მხარდაჭერის ინიციატივების წესი

ინტერვიუ მასწავლებლებთან

2.1.2 **კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---
---

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ სასკოლო გეგმის ძირითად მეთოდიკურ ორიენტირებში გამოკვეთილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის მნიშვნელობა სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების ნაწილში, სკოლა საკუთარ სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნავს, რომ ყველა მოსწავლე უნიკალურია თავისი ინდივიდუალური, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებითა და სწავლის სტილით. სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება კომპლექსურ დავალებას, როგორც შუალედურ მიზანს. თავად შუალედური მიზნის საინტერესოდ წარმოსაჩენად იყენებს მოსწავლეთათვის ნაცნობ თემატურ ბლოკებს. შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებებისა და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლთა შესრულებასაც მოსწავლეს პიროვნული ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. მოსწავლეზე ორიენტირებულობას ეთანხმება ესთეტიკური აღზრდის მიმართულების ექსპერტი, თუმცა დასძენს, რომ მუსიკის კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია თემატური ბლოკებით, შესაბამისი თემებითა და სამიზნე ცნებებით, კომპლექსური დავალებებით. VII კლასის კურიკულუმში გაწერილი არ არის ნაწილი თემების,შესაბამისად არ არის გამოყოფილი საკითხი,სამიზნე ცნებები და სხვა.ინტერვიუდან გაირკვა, რომ თემების დამუშავება ეხლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მიმდინარეობს და ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის კომპლექსური დავალებების პირობები განსაზღვრული იქნება. სპორტის საგნობრივი ექსპერტიც ადასტურებს, რომ სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის კურიკულუმებში, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. წარმოდგენილ კურიკულუმებში სკოლას გამოკვეთილი აქვს სამიზნე ცნებების, როგორც მთავარი, გრძელვადიანი ორიენტირის როლი საკუთარ კურიკულუმებში. საბაზო საფეხურის, ისევე როგორც დაწყებითისა და საშუალო საფეხურების მთავარი ფოკუსი სამიზნე ცნებებია. მოცემულ კურიკულუმებში მეტწილად მკაფიოდ იკვეთება მიმართება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ ქვეცნება-ქვესაკითხებს შორის. სასკოლო საზოგადოება აქტიურად მუშაობს გლობალურ-ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით, სასწავლო პროცესი ეფუძნება გრძელვადიან მიზნებსა გლობალურ-ფუნქციურ უნარებს (6 უნარი, მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული დავალებების დანერგვის ეტაპზე აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათის ნებელობა, მოქალაქეობა). კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული კომპლექსური დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს მოუწევთ იაზროვნონ კრიტიკულად, შექმნან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

პროდუქტი, პრობლემის გადაჭრისას დასჭირდებათ შემოქმედებითობა, გუნდური და ჯგუფური მუშაობა, მეტაკოგნიტური სტრატეგიების ფლობა.

უცხოური ენის ექსპერტი საუბრობს მცირე ტექნიკურ შეუსაბამობაზე კონკრეტულ კურიკულუმში: გამოვლინდა მცირე თითქმის ტექნიკური ხასიათის უზუსტობები, მაგალითად ინგლისური ენის მე-7 კლასის კურიკულუმში კომპლექსური დავალების პირობა მოცემულია პირველ პირში. გერმანული ენის მე-7 კლასის კურიკულუმში რიგ კომპლექსურ დავალებასთან კავშირში მყოფი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები ერთმანეთისგან გახლეჩილად წერია, სამიზნე ცნება განზოგადებულად აღებულია და ქვეცნება და ქვესაკითხები არ კონკრეტდება. რიგ შემთხვევაში დავალების პირობა ამუშავებს სამიზნე ცნების სხვა ცნებასაც რომელიც კურიკულუმში მითითებული არ არის კონკრეტულად. ამ სახის ხარვეზები კურიკულუმში ხშირად არ ფიქსირდება და მათ ჭარბობს კონკრეტულად და სრული სიზუსტით აღწერილი შესაბამისობა კომპლექსურ დავალებასა და სამიზნე ცნებებსა და მის ქვეცნება/ქვესაკითხებს შორის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ სასწავლო პროცესი დანახულია როგორც მოსწავლეზე ფოკუსირებული და პოზიტიური გარემოს შექმნისკენ მიმართული აქტივობები, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები , პოტენციალი, საჭიროებები. სასწავლო პროცესი ნაცნობია თითოეული მათგანისთვის და განიხილება როგორც დამხმარე რესურსი ცოდნის კონსტრუირების პროცესში, რისი ერთ-ერთი მაჩვენებელია მაგალითად წინარე ცოდნის გააქტიურება, რაც აძლევს საშუალებას მოსწავლეს იდენტიფიცირება და რეაგირება მოახდინოს იმ საკითხზე რომელიც არ იცის. სკოლის მიერ მსგავსი აქტივობის განხორციელდება დასტურდება კომპლექსური დავალების პირობის გაცნობის აქტივობაში, რომელიც ეხმარება მოსწავლეს დაადგინოს, თუ რა გამოცდილება აქვს აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. მუშაობა. სკოლას, სასკოლო საწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების ჩანართი, სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გაწერილი არის ეტაპები სტატუსის მინიჭებიდან სამოქმედო გეგმამდე. გარდა ამისა სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის წესი, რომელიც მიზნად ისახავს სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების მირების კონტროლს. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს ინდ. გეგმების განხორციელების ჩარჩო რამდენიმე მაგალითით.სკოლას ჰყავს 38 სსსმ მოსწავლე. გარდა ამისა, სკოლა ჩართულია გარდა ამისა სკოლა ჩართულია "ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის" პროგრამის "საჯარო სკოლებში ინტეგრირებული კლასების დაფინანსების" ქვეპროგრამაში, რომლის ფარგლებში სკოლაში მოქმედებს ერთი ინტეგრირებული კლასი და ამ კლასის მოსწავლეებისთვის შექმნილია მათთვის ხელსაყრელი პირობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. მასწავლებლებმა წარმოადგინეს განსმსაზღვრელი და განმავითარევბელი შეფასების რუბრუკები, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მასწავლებლებმა წარმოადგინეს ეფუძნება სტანდრატით განსაზღვრულ თემის ინდიკატორებს, ხოლო განმავითარებელი შეფასება ეფუძნება ცნებას და ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ აქცენტს აკეთებდნენ სამივე კატეგორიის (დეკლარატიულ, პროცედურულ, პირობისეულ) ცოდნაზე, და მოსწავლის ნამუშევრის/აქტივიზმის შეფასების პროცესში აჩვენებენ მხარდაჭერას მოსწავლის აკადემიური და პიროვნული ზრდისთვის და უჩვენებენ გზას თუ როგორ უნდა მოახერხონ წინსვლა. მათ ასევე აღნიშნეს, რომ განმავითარებელ შეფასებას არ გამოყოფენ სასწავლო პროცესიდან , არამედ პირიქით მის ნაწილად აღიქვამენ მას. პედაგოგებმა გამოკვეთეს ის სამი კომპონენტი, რომლითაც ხელმძღვანელობენ განმავითარებელი შეფასების შექმნის პროცესში, ესენია: დაზუსტება, წახალისება და რჩევა. სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემა. სკოლას არჩეული აქვს განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ესთეტიკური აღზრდის ექსპერტი აცხადებს, რომ კათედრას წარმოდგენილი აქვს ზოგადი ხასიათის განმავითარებელი შეფასება და პრაქტიკული სამუშაოს შეფასების რუბრიკა სახვით ხელოვნებაში. წარმოდგენილი მუსიკის განმსაზღვრელი შეფასება ქულობრივი თვალსაზრისით დასამუშავებელია. აქვე იძლევა **რჩევას: გადაიხედოს შეფასების რუბრიკები , როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი და ჩამოყალიბდეს კონკრეტული აქტივობების ფარგლებში, შესაბამისი კრიტერიუმებით. მეშვიდე კლასის მუსიკის კურიკულუმი შეისვოს ყველა თემის მიხედვით.**

სპორტი -წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები შეესაბამება სტანდარტს, არის ზოგადი.

რჩევა: სამომავლოდ შეფასების რუბრიკები ჩაიშალოს თემების მიხედვით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. წინარე ცოდნის გათვალისწინება და სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილების და გამოწვევების ანალიზი სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით კურიკულუმის შემუშავების განუყოფელი ნაწილია. ინტერვიურების პროცესში პედაგოგების მხრიდან დაფიქსირდა წარმატებული აქტივობების განხორციელების არაერთი მაგალითი და მათი გადანერგვის სურვილი მომავალი წლის კურიკულუმში. სკოლა იზიარებს, რომ სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რაც ასახულია მოსწავლეთა ნამუშევრებში, მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული ფაქტორები გაითვალისწინეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შედგენისას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (კონცეპტუალური ნაწილი);

შეფასების ინსტრუმენტები;

განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის წესი;

ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.1 **სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრის მხრიდან წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოები (7-9 კლასი) იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას. კომპლექსური დავალებები, რომლებიც ჩაშენებულია კურიკულუმის ჩარჩოში ისეთი აქტივობების დანერგვას ითხოვს, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიქტი, იგი გამოკვეთს, განიხილავს და წყვეტს პრობლემას, ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. საბაზო საფეხურის სამივე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მრავლად გვხვდება კომპლექსური ბუნების დავალებები, ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ საბაზო საფეხურზე არ არის ისეთი მაღალი ხარისხის ჩართულობა როგორც დაწყებით საფეხურზე, თუმცა კი მუშაობენ სხვადასხვა მეთოდით ამ ფაქტის გამოსასწორებლად. საბაზო საფეხურზე მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ, სასწავლო პროექტებში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კონფერენციებში, სასწავლო პროექტებში, ოლიმპიადებში, აქტიურად მიმდინარეობს საკლუბო მუშაობა. საბუნებისმეტყველო საგნების ექსპერტმა აღნიშნა, რომ საბაზო საფეხურზე ხორციელდება აქტივობები რომელშიც მოსწავლეები არიან ჩართულები. როგოც ბიოლოგიის მასწავლებელმა აღნიშნა ის ახორციელებს მოსწავლეეთა ვიზიტებს კვლევით ლაბორატორიაში, სადაც ეცნობიან საინტერესო კვლევებს, რაც მათ სიღრმისეული ცოდნის მიღებაში ეხმარება და ზრდის მათ ჩართულობას და ინტერესს საგნის მიმართ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლას ერონულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისად აქვს გამოკვეთილი საბაზო საფეხურის თითოეული კლასისთვის არსებული თემატური ბლოკები, რომლებიც მოსწავლეებში იწვევენ ინტერესს და საშუალებას აძლევს ნაცნობი კონტექსტის ფარგლებში და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიიღონ ინფორმაცია. პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში ახსენეს კომპლექსური დავალების მეშვეობით სხვადასხვა პროდუქტის შექმნის პრაქტიკა იქნება ეს წერილობითი თუ ზეპირი სახით წარსადგენი მასალა, აგრეთვე გააქტიურებულია მცნება კულტურათა დიალოგი, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევთ შეადარონ ერთმანეთს მათთვის ნაცნობი კონტექსტები ანუ მათში უკვე არსებული ცოდნა სხვა ქვეყნის მახასიათებლებს და განივითარონ კრიტიკული აზროვნება. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული დავალების პირობათა უმრავლესობა შემუშავების პროცესშია, მაგრამ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებმაც მოსწავლეები უნდა დააფიქროს სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. შერჩეული კომპლექსური დავალებები მოსწავლის მხრიდან მოითხოვს მსჯელობას საკუთარ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გამოცდილებასა და ინტერესზე, გადაწყვეტილების პროცესში საკუთარ პოზიციასა და დასკვნების ვალიდურობაზე. მოსწავლეს ეძლევა საშუალება ახსნას რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელიშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა. ყოველივე ეს, ეხმარება მოსწვალეს საკუთარი აკადემიური (და არა მხოლოდ აკადემიური) თვითცნობიერების განვითარებაში. ექსპერტები ამბობდნენ, რომ მასწავლებლებმა წარმოადგინეს განხორციელებული კომპლექსური დავალებები. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა გამოკვეთეს მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის და საკუთარი მოსაზრების თამამად გამოხატვის შესაძლებლობის შესახებ. კომპლექსური დავალების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, გამოკვეთილი მისაღწევი მიზანი ანუ პროდუქტი და ეტაპებად დროში გაწერილი აქტივობები უბიძგებს მოსწავლეს დასახოს მისი შესრულების სტრატეგიები და თავად შეაფასოს იგი, ან მიიღოს უკუკავშირი მასწავლებლის ან თანატოლისგან.

ინდიკატორის მოტხოვნები დაკმაყოფილებულია

4. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ისეა აგებული, რომ ყურადღება მახვილდება ცოდნის სამ კატეგორიაზე. მომავალი წლის სასწავლო კურიკულუმი მოსწავლეებს სთავაზობს იმგვარ ამოცანას, სადაც პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება მოუწევთ. უცხოური ენების ექსპერტმა დააკონკრეტა და თქვა, რომ დეკლარატიული სახის ინფორმაცია მიწოდებულია მთავარი თუ დამატებითი რესურსით, მაგალითისთვის კონკრეტული კომპლექსური დავალების ნაწილში, მოსწავლე ამუშავებს წიგნს New Building Bridges დამატებით რესურსად უყურებს ვიდეოს School Life ზე და ამუშავეს გრამატიკულ დროებს სხვადასხვა ვიდეო ქვიზის/ელექტრონული რესურსის დახმარებით. ყველა აღნიშნული რესურსიდან შესრულებული დავალება ეხმარება მოსწავლეს გაიმყაროს ფაქტობრივი ცოდნა თემის შესახებ. საკვანძო შეკითხვები კი მაგალითად: როგორ , რა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტრატეგიების გამოყენებით გავითამაშო ინტერვიუ ? მოსწავლეს უბიძგებს პროდეცურული ცოდნის მიღებისკენ, ხოლო ავად კომპლექსური დავალების პირობა : ჩამოართვი ინტერვიუ თანაკლასელს მისი ერთი ჩვეულებრივი დღის შესახებ , მოამზადე როლური თამაში და წარუდგინე თანაკლასელება - ააქტიურებს მოსწავლეებში პირობისეული ცოდნის მიღების პროცესს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები და პროექტები იძლევა იმის საფუძველს რომ 2023 – 2024 სასწავლო წელს სასწავლო პროცესის წარმათვისას, საბაზო საფეხურზე შერჩეული თემები და საკითხები, რომლებიც მუშავდება თემატურ მატრიცებსა და კომპლექსურ დავალებებში მოსწავლეებს აძლევს საშუალებას განაზოგადონ მიღებული ცოდნა და დაუკავშირონ ის სხვადასხვა საგანში ნასწავლ მასალას და პირად გამოცდილებას. პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ ხშირად მიმართავენ გაკვეთილების ინტეგრირებულად ჩატარების პრაქტიკას, რაც ასევე ხელს უწყობს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები;

განხორციელებული კომპლექსური დავალებები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---
---

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს და წარმოადგინეს განხორციელებულ კომპლექსური დავალებების შესახებ, რომლებშიც ხდება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების პირობის და მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები, როგორც მტკიცებულება იმისა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლის მიერ განხორციელებული პრაქტიკის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა ზედმიწევნით იაზრებს საფეხურის საკვანძო შეკითხვების როლს და მნიშვნელობას და სახავს მას იმ მეთოდიკურ ორიენტირად, რომელიც სწავლის პროცესს უდევს საფუძვლად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილ დავალებებზე მუშაობის პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს. მოსწავლე ყალიბდება პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობა, აკადემიური მიღწევა და იდენტობა. დავალებებზე მუშაობის, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; გააკეთოს ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი პერსონალურსა თუ სოციალურ ქცევებს შორის. ინტერვიუს განმავლობაში პედაგოგებმა განაცხადეს, რომ მოსწავლეებს მოსწონთ არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის მიღება, ამისათვის კი ისინი ცდილობენ შეძლებისდაგვარად განახორციელონ სოციალური პროექტები. ემოციური ინტელექტის განვითარებისთვის კი იყენებენ ჯგუფურ სამუშაოებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლა, საკუთარი შეფასების აღწერის ნაწილში წარმოადგენს განმსაზღვრელი შეფასების პირველ ტიპს და უპირატესად სახავს განმავითარებელ შეფასებას ყველა საფეხურზე. კათედრების მიერ შერჩეული შეფასების რუბრიკები ხაზს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

უსვამს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მაგ: რეფერატის შეფასების სქემა, წერითი შემაჯამებელი დავალების რუბრიკა, კომპლექსური დავალების განმავითარებელი რუბრიკა, კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები არა მარტო ფაქტობრივ ცოდნას, არამედ ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტურალურ გარემოება. ფოკუსჯგუფთან მუშაობის პროცესში აღინიშნა, რომ შეფასების რუბრიკები შემუშავების ეტაპზეცაა და წარმოდგენილი იქნება მეთოდოლოგიურ დანართში. შეფასების ფორმად სკოლა სახავს, ზეპირსიტყვიერ ან წერილობით უკუკავშირს. იმის გათვალისწინებით, რომ შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში, ფოკუსირდება ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე,ხელს უწყობს მოსწავლეებში აქტიურ ჩართულობას და ავთენტურია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა მოსწავლეს აფასებს ჰოლისტურად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. საგნობრივი ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. შეფასების რუბრიკები ეყრდნობა კრიტერიუმებს. და ამით უზრუნველყოფენ მის ვალიდურობას, გამჭვირველეობის პრინციპს კი იცავენ იმ ფაქტით, რომ აზუსტებენ ნამდვილად გაიგო თუ არა მოსწავლემ დავალების პირობა და ის თუ როგორ შეფასდებიან ან/და შეფასების რუბრიკის შექმნისას ითვალისწინებენ დავალების შინაარსის შეთანხმებას მოსწვალეებთან. ინტერვიუს გზით გამოვლინდა დადებითი პრაქტიკა, რომ მასწავლებლები მუდამ წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი აღნიშნავს, რომ ესთეტიკურ კათედრას არ აქვს შემუშავებული მრავალფეროვანი შეფასების სისტემა. და იძლევა **რჩევას, რომ შეფასების სისტემა საჭიროებს დამუშავებას, სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან თანხვერას, რათა გახდეს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. საგნობრივი ექსპერტები შესწავლილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე ასკვნიან, რომ- სწავლების შედეგების შეფასების უზრუნველყოფის მექანიზმი, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება, გაწერილია და წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, სტრატეგიული გეგმის პროექტში, კათედრის სხდომის ოქმში. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემა, რომელიც ადგენს სასწავლო პროცესის შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს ხარისხის ჯგუფის შეხვედრების ოქმები, რომლებშიც მიმოხილულია კონკრეტული მაგალითები და ქეისები, საიდანაც ჩანს, რომ სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. სკოლას აქვს ხედვა და მზაობა განაგრძოს მუშაობა შეფასების ვერიფიკაციის სისტემის გამართვა - განვითარების მიმართულებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. ექსპერტები ზოგადად აღნიშნავენ, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვას, დაასახელეს სხვადასხვა ტიპის დოკუმენტები და მისი შენახვის სხვადასხვა ვადები. პირადი საქმის შენახვას - 75 წლით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შემაჯამებელი დავალებები - 1 წლის ვადით, ზოგიერთმა დაასახელა, რომ შეფასების შესახებ ინფორმაციას ინახავენ არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლას ეძლევა **რჩევა შეიმუშაოს ერთიანი მიდგომა შეფასების მონაცემების შესახებ რათა სკოლაში არსებობდეს ერთიანი და ერთნაირი მიდგომა**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმები;
ინტერვიუ მასწავლებლებთან;
სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტების საერთო აზრით წარმოდგენილი კურიკულუმები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მეთოდები და სტრატეგიები, შეფასების რუბრიკები და კომპლექსურ დავალებები, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებიდან, დასტურდება და იკვეთება მომავალშიც მზაობა, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ამასთანავე სასწავლო გეგმა, ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია პუნქტები და მასში გაწერილი საკითხები, რომლებიც მიზნად ისახავს სასწავლო პროცესისთვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შექმნას. მაგ: იკითხება, რომ სკოლის მისია და ხედვა მოსწავლეზე ორიენტირებულია, საათობრივი ბადე შექმნილია სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია, მოსწავლის განვითარებასა და სასწავლო პროცესის მხარდაჭერაზე, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საჭიროების მოსწავლისთვის. მოწყობილია რესურს ოთახი ასეთი მოსწავლეებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი გულისხმობს მოსწავლისთვის საინტერესო დავალებებს მიცემას, მოსწავლისთვის ნაცნობ კინტექსტში და მრავალფეროვან რესურსებს, საინტერესო აქტივობებს და სწორ განმავითარებელ შეფასებას, რაც ჩანს კურიკულუმებში. მასწავლებლებმა დაგვანახეს თავიანთი სწორი ხედვა ამ მიმართულებით, მათ საუბრისას მოიყვანეს სხვადასხვა მაგალითები პრაქტიკიდან. უნდა აღინიშნოს რომ ისინი ხშირად უზიარებენ ერთმანეთს მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციას და აქვთ მზაობა მომავალშიც სასწავლო პროცესი წარმართონ მოსწავლეზე ორიენტირებულად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის მასწავლებლები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. გარდა ამისა, სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად ახორციელებს შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან (ღია კარის დღე მშობლებთან, თემატური შეხვედრები მასწავლებლებთან/სპეც მასწავლებლებთან), იზიარებენ მათ უკუკავშირს და აქვთ სიახლეების მიმღებლობა. სკოლის ციფრული განვითარების გეგმაში წერია, რომ სკოლა გეგმავს oneDrive-ზე შექმნას ელექტრონული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საცავი რომელშიც შენახული და შესაბამის თანამშრომლებთან გაზიარებული იქნება ინფორმაცია და ყველა საჭირო ფაილი. ყოველივე ეს მიუთითებს სკოლაში თანამშრომლობით კულტურისა და კომუნიკაციის არსებობაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური გარემო, ეს კარგად ჩანს დაწყებითი საფეხურის კათედრის მასწავლებელთა შეხვედრიდან. ასევე ამაზე მეტყველებს მასწავლებლების მიერ განხორციელებული აქტივობები და პროექტები. სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიურ გარემოს როგორც სკოლის ასევე კლასის დონეზე, გარდა ამისა ინტერვიუს პროცესში პედაგოგების მხრიდან არაერთგზის დაფიქსირდა მოსწავლეებთან კოლეგიალური და მეგობრული ურთიერთობის არსებობის შესახებ, როდესაც მოსწავლეებს შეუძლიათ სწავლის პროცესში გამოვლენილი ნებისმიერი მათთვის საინტერესო საკითხით მიმართონ პედაგოგებს, რაც კიდევ მეტად ახდენს მათი მხრიდან პროცესებში აქტიურად ჩართვის ფაქტებს. სპორტის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში ყოველთვის ატარებდნენ სპორტულ საკლასო და სასკოლო ღონისძიებებს, რაც ხელს უწყობს პოზიტიური კლიმატის შექმნას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო კურიკულუმი;
საგნობრივი კურიკულუმი;
ინტერვიუ მასწავლებლებთან;
სკოლის ციფრული განვითარების გეგმა.
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივი ექსპერტები თვლიან, რომ სკოლას კურიკულუმის განვითარების მეთოდილოგიაში განსაზღვრული აქვს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები წარმოადგენს პრინციპებს რომელსაც ეფუძნება ციკლური პროცესი და, რომ კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლა პროცესში სვამს ორ ძირითად კითხვას : რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს მიხედვით და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. სკოლა დიაგნოსტირებას მიმართავს მომავალ წელს ორ საგანში, რომელიც გაწერილი აქვს სასკოლო გეგმის პროექტშიც. საგნობრივი კათედრების ფუნქციებს შორის გამოკვეთილია გამოცდილების გაზიარება, წარმატებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროცესის წინაპირობის განსაზღვრა. აგრეთვე თითოეული მასწავლებლის მიერ კლასების მიხედვით ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს წამოჭრილი პრობლემების ანალიზი. სკოლა წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის პროექტს, სადაც ხარისხის ამაღლების მიზანი ჩაიშლება ოთხ კომპონენტად, რომელშიც შეფასება კვლავ ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად რჩება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. ექსპერტები ადასტურებენ, რომ მონიტორინგი და შეფასება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად ხორციელდება. კურიკულუმის მიხედვით წარმართული სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შეფასების მიზნით განიხილავენ შემდეგ ინსტრუმენტებს: ურთიერთდასწრებას, თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას, კათედრაზე შედეგების განხილვას მეთოდოლოგიაში ჩანს როგორც ანგარიშვალდებულებები, ასევე მოსწავლეების მიღწევების და მხარდაჭერის მექანიზმები. აგრეთვე მონიტორინგის შედეგების მიმართვა სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ჩანს ცალკეულ ინსტრუმენტებში, რომლებიც სკოლამ წარადგინა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლა მონიტორინგისა და შეფასების შედეგად განსაზღვრავს ძლიერ და სუსტ მხარეებს, ხელის შემშლელ ფაქტორებს, გამოწვევებს და პრობლემის იდენტიფიცრების შემდეგ ზრუნავს მისი გადაჭრის გზებზე. ექსპერტები აღნიშნულ პროცესს ხედავენ მიმდინარე აქტივობების დროს: მასწავლებლების პროფესიული საჭიროების დადგენა და ზრუნვა პროფესიულ განვითარებაზე, კათედრებისგან გაცემული უკუკავშირი, თემის ბოლოს რიგი საკითხების გადაჭრა. სკოლას სტრატეგიული გეგმის პროექტში აქვს წარმოდგენილი ჩანართი სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელების შესახებ, რომელიც სკოლას ავალებს სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ტიპის კითხვარების შემუშავებას, მოსწავლეთა მასწავლებელთა და მშობელთა პერიოდული გამოკითხვას პროცესთან დაკავშირებული საჭიროების კვლევის მიზნით, რომელსაც უხელმძღანელებს დირექტორი და დირექტორის მოადგილე. საგაკვეთილო პროცესზე დასწრება, შედეგების ანალიზი და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება, სადაც ჩართულ მხარეებად მოიაზრებიან დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, საგნობრივი კათედრები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მასწავლებლებთან გასაუბრება;
სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი;
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი 2023-2024;
ხარისხის ჯგუფის ოქმები;
კათედრის სხდომის ოქმები;
კათედრის დებულება;
ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სხდომის ოქმი განმავითარებელ შეფასებაზე N2,
კათედრის ოქმი ურთიერთდასწრების დაგეგმვაზე;
საგნობრივი კურიკულუმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---
---

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ექსპერტები მიიჩნევენ რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს: სასწავლო პროცესზე დაკვირვება, კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალებები, მასწავლებლის პორტფოლიო, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენების შედეგები, შემაჯამებელ წერების შედეგები, საკლასო და საშინაო დავალების შესრულება, ქვიზების გამოყენება, სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობა, არაფორმალური განათლება. გარდა ამისა სკოლა წარმოადგენს მონაცემთა შეგროვების სხვა ხერხებს: მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება და შედეგების ანალიზი, განმავითარებელი კომენტარი, მასწავლებლისა და მოსწავლის თვითრეფლექსია, მასწავლებლების მიერ კათედრაზე განხილული გამოწვევები თუ წარმატებული ქეისები, კითხვარების საშუალებით მშობლებისგან მიღებული ინფორმაცია, მასწავლებლების მიერ მშობლებისთვის კრებებზე გაზიარებული ინფორმაცია და მათგან მიღებული უკუკავშირი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ჰოლისტური ხასიათისაა, ექსპერტები მასწავლებლებლებთან ინტერვიუს დროს გამოკვეთენ მათ მიერ შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტზე ყურადღების გამახვილებას, როგორებიცაა: კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. სკოლა გამოკვეთს კომპლექსური ბუნების დავალებას როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საშუალებას, მოსწავლის სხვადასხვა ტიპის აქტივობაში ჩართულობის შესაფასებლად მისი ინდივიდუალური კოგნიტური უნარებისა თუ ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით.შემაჯამებელი განმავითრებელი შეფასებისას გათვალისიწნებულია სხვადასხვ საგნის მასწვალებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწვალის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. შესწავლილი მასალებისა და ექსპერტთა მიერ მასწავლებლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ, როგორიცაა ინტერვიუები, კითხვარები, კვლევები და ა.შ. ჩაატრებულია ფორმსის მეშვეობით მასწავლებელთა/მოსწავლეთა/მშობელთა გამოკითხვა. სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. შესაბამისად 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება სხვადასხვა საგანში ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას.

   სკოლის ციფრული განვითრების გეგმაში აღნიშნულია, რომ სამომავლოდ ვებ.გვერდს დაემატება გვერდები რომელთა საშუალებითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და მონაცემების შეგროვება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებელთა დამოკიდებულებები მოსწავლეთა დინამიკის შეფასების პროცესში ითვალისწინებს სხვადასხვა შესაძლო ფაქტორთა მთელ რიგს. შესწავლილი მასალებიდან ჩანს, რომ სკოლა შეფასებას განახორციელებს მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.ექსპერტები მასწავლებელთა გამოკითხვების შედეგად ამბობენ, რომ შეფასებისას პირველ რიგში ითვალისწინებენ, მოსწავლეების შესაძლებლობებს, საჭიროებებეს, ინტერესებს., მომავალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასწავლო წლიდან კი იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვა. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება როგორც მოსწავლის აკადემიური დონე, ასევე მოსწავლის განვითარების დინამიკა, განვითარების პროცესი. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას განაგრძონ ამ მიმართულებით მუშაობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი 2023-2024;
ინტერვიუ მასწავლებლებთან;
ხარისხის ჯგუფის ოქმები;
კათედრის სხდომის ოქმები;
კათედრის დებულება;
სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი;
დაწყებითის კურიკულუმები ;
მასწავლებლის თვითშეფასება;
გასასვლელი ბილეთი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ვიზიტის დროს შეიმუშავა "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". დოკუმენტის მიხედვით კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე, ასევე ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილების საფუძველზე. დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია მიმართულებები, რომლის მიხედვითაც მოხდება მონაცემების მოპოვება და ასევე განსაზღვრულია პროცესში ჩართული მხარეები, რომელთა შორის არის კათედრაც.

   ინტერვიუს დროს საგნობრივი კათედრები ამბობდნენ, რომ კურიკულუმის გადაფასდებისთვის რეკომენდაციების შემუშავება მოხდება საგნობრივ კათედრებზე, საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი კათედრის სამუშაო შეხვედრებზე. კათადრაზე მოხდება გამოცდილების გაზიარება. როგორც ინტერვიუზეც გამოიკვეთა მასწავლებლებს აქვს კარგი თანამშრომლობითი გამოცდილება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" მიხედვით სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შესაქმნელად საჭირო აქტივობებად სკოლა ასახელებს კათედრაზე მიმდინარე პროცესებს, მაგალითად გამოცდილების ურთიერთგაზიარება, მონაცემთა ანალიზი და მის საფუძველზე გამოვლენილი წამატებული თუ ხარვეზის შემცველი გამოცდილების გამოყენება. სკოლა მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით გეგმავს რევიზიის ნაწილში აქცენტი გააკეთოს შემდეგ მნიშვნელოვან მომენტებზე: როგორი იყო მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, რა უშლიდათ მათ ხელს? როგორ გაუმჯობესდა ან რატომ ვერ გაუმჯობესდა მოსწავლეთა შედეგები წინა წელს? როგორი იყო მშობლებთან კომუნიკაცია და რა ფაქტორები უწყობდა ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას? როგორ იმუშავეს კათედრებმა, რისი გაუმჯობესება იქნებოდა შესაძლებელი, როგორი იყო დირექციის ჩართულობა ციკლურ პროცესში, რა განმაპირობებელი ან ხელის შემშლელი ფაქტები გამოვლინდა?

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

"კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია" და მისი დამტკიცების ბრძანება N1/კ-67, 14.06.2023

ინტერვიუ მასწავლებლებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი - საშუალო საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. ურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა კურუკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. მასწავლებლები საბაზო საფეხურის კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, ისინი აცნობიერებენ წინარე გამოცდილებას და იცნობენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. კურიკულუმი ვითარდება მშობლების, მოსწავლეების და დირექციის აქტიური ჩართულობით. შემუშავებული კურუკულუმის განთავსება ხდება სკოლის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის გასაცნობად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ საბაზო საფეხურის კურიკულუმების განვითარების პროცესით მოახერხა აესახა სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლის მიერ სასკოლო გეგმის ძირითად მეთოდიკურ ორიენტირებში გამოკვეთილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის მნიშვნელობა სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების ნაწილში, შექმილი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და გეგმით განსაზღრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს. კურიკულუმის შემუშავება ხდება კათედრის მასწავლებლების მიერ, ისინი კათედრაზე განიხილავენ შემუშავებულ კურიკულემს, რომელიც განთავსდება სკოლის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია როგორც მშობლისთვის ასევე მოსწავლეებისთვის. კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. ბუნებისმეტყველების კათედრის მასწავლებლებმა ინტერიუზე აღნიშნეს, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება ხდება ე.წ. „სასკოლო მენიუს“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

საშუალებით, რაც მეტ შესაძლებლობას იძლევა დაადგინონ მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები.სხვა ექსპერტი ასევე აღნიშნავს კურიკულუმის შემუშავებას სასკოლო საზოგადოების გაზიარებით. მშობლებს ეგზავნებათ კითხვარები მშობელთა ინტერესებისა და ჩართულობის მეტად გამოსაკვეთად რაც კიდევ ერთხელ პასუხობს სკოლის მიერ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში არსებულ ჩანაწერს იმის შესახებ, რომ კურიკულუმი ვითარდება მშობლების აქტიური ჩართულობით. მშობლებთან აქტიური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად სკოლა იყენებს სხვადასხვა ფორმატს: კრებებს, სატელეფონო საშუალებებს, სოციალურ ქსელებს. სკოლა მოსავლეთა ინტერესების გათვალისწინებით და ადმინისტრაციასთან შეთანხმებით გეგმავს არაფორმალური აქტივობების ციკლს, როგორებიცაა: სპორტულ კულტურული ღონისძიებები, ექსკურსიები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლამ წარმოგვიდგენა ცალკეული ინსტრუმენტები კონკრეტული პროცესის შესაფასებლად, სასკოლო ცხოვრების, აქტივობების ამსახველი მასალა, კურიკულუმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები/მასალა, კურიკულუმის ჩარჩოები, რომელიც წარმოაჩენს კურიკულუმის შემუშავების/განვითარების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. გასაუბრების პროცესში მათ აღნიშნეს, რომ კათედრაზე ერთობლივად შეიმუშავეს კურიკულუმის ჩარჩოები. ასეთივე აზრი აქვს სხვა ექსპერტს, რომელიც ამბობს, რომ პროცესი ციკლურია და საჭიროებს საზოგადოების წევრების ჩართულობას მთელი წლის მანძილზე და არა ფრაგმენტულად. მეთოდოლოგიის თანახმად, სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლა აქტიურად ახორციელებს შეხვედრებს სასკოლოს საზოგადოებასთან, ღია კარის დღის დაგეგმვით, ან ატარებს შესაბამის თემატურ შეხვედრებს მასწავლებლებთან ან სამეურვეო საბჭოსთან. საბოლოო გეგმა უზიარდებათ მშობლებს კლასის დამრიგებლების მეშვეობით, სასკოლო სასწავლო გეგმა გამოკრულია საჯაროდ სკოლის შენობაში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

სასკოლო საზოგადოების წევრისთვის. სხვა ექსპერტმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობა დაინახა არაფორმალური განათლების მიმართულებითაც და ამბობს, რომ სკოლაში არსებული წერეები შექმნილია მშობელთა ჩართულობით და მათი ინტერესების გათვალისწინებით. მხოლოდ სპორტის ექსპერტმა მისცა სკოლას **რჩევა: სამომავლოდ უზრუნველყონ სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა აღნიშნულ პროცესში,** რადგან კურიკულუმის შემუშავებაში მხოლოდ კათედრი ჩართულობა დაინახა, ვინაიდან ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავს სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ გამოკვეთილია კურიკულუმის გაზიარების ორი განსხვავებული ნაწილი. პირველად აღნიშნულია ის ფაქტი, რომ თავად კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიური ჩართულობა იწვევს ჩართულ მხარეებში პასუხისმგებლობისა და მიკუთვნებულობის განცდას. მეორეც, სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის მაგ: საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები. სპორტის ექსპერტიც ეთანხმება გაზიარებას და ამბობს, რომ ფესტივალების მოწყობით კონფერენციების გამართვით და საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობით, კურიკულუმს იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (კონცეპტუალური ნაწილი)

საგნობრივი კურიკულუმები

ფოტო -საინფორმაციო დაფა

მშობლის ბარათი

მოსწავლეთა მხარდაჭერის ინიციატივების წესი

ინტერვიუ მასწავლებლებთან

2.1.2 **კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლის მიერ სასკოლო გეგმის ძირითად მეთოდიკურ ორიენტირებში გამოკვეთილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის მნიშვნელობა სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების ნაწილში, სკოლა საკუთარ სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნავს, რომ ყველა მოსწავლე უნიკალურია თავისი ინდივიდუალური, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებითა და სწავლის სტილით. სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება კომპლექსურ დავალებას, როგორც შუალედურ მიზანს. თავად შუალედური მიზნის საინტერესოდ წარმოსაჩენად იყენებს მოსწავლეთათვის ნაცნობ თემატურ ბლოკებს. შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებებისა და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლთა შესრულებასაც მოსწავლეს პიროვნული ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. მოსწავლეზე ორიენტირებულობას ეთანხმება ესთეტიკური აღზრდის მიმართულების ექსპერტი, თუმცა დასძენს, რომ მუსიკის კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია თემატური ბლოკებით, შესაბამისი თემებითა და სამიზნე ცნებებით, კომპლექსური დავალებებით. VII კლასის კურიკულუმში გაწერილი არ არის ნაწილი თემების,შესაბამისად არ არის გამოყოფილი საკითხი,სამიზნე ცნებები და სხვა.ინტერვიუდან გაირკვა, რომ თემების დამუშავება ეხლა მიმდინარეობს და ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის კომპლექსური დავალებების პირობები განსაზღვრული იქნება. სპორტის საგნობრივი ექსპერტიც ადასტურებს, რომ სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის კურიკულუმებში, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. მხოლოდ **ესთეტიკის ექსპერტმა** შეიტანა შენიშვნა სკოლის კურიკულუმებში და აღნიშნა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ესთეტიკური კათედრის მიერ შემუშავებული საშუალო საფეხურის კურიკულუმი დაფუძნებულია პროექტულ სწავლებაზე და ის წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ორიენტირება ხდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, წარმოდგენილია ორი პროექტის სახით, თითო თითო სემესტრში, გამოყოფილია საკვლევი საკითხი,რომელიც მოითხოვს გადახედვას და დამუშავებას. წინასწარაა გაწერილი პროდუქტი რომელიც კვლევის შედეგად უნდა წარმოადგინონ მოსწავლეებმა. ინტერვიუდან გაირკვა, რომ პროექტები შერჩეულია მოსწავლეთა ჩართულობით. მუსიკის კურიკულუმის ჩარჩო არ არის წარმოდგენილი, რადგან როგორც ინტერვიუში აღნიშნეს მუსიკის მასწავლებლებმა, მასწავლებლის წიგნში წარმოდგენილი პროექტებიდან მოსწავლეებმა თავად უნდა აირჩიონ ორი პროექტი, რომელებსაც სემესტრულად განახორციელებენ. იქვე ესთეტიკის ექსპერტმა მისცა **რჩევა: 1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების X კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები არ ასახავს შესასწავლი საკითხის არსს, უმჯობესი იქნება მათი ასე ფორმულირება: I პროექტი : „ ჩემი რეგიონის/ქალაქის/სოფლის კულტურული მემკვიდრეობა" II პროექტი: „ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით საზოგადოებისა და ქვეყნისთვის აქტუალურ სოციალურ, ეკოლოგიურ, სამოქალაქო პრობლემებზე და მოვლენებზე საკუთარი აქტიური სამოქალაქო პოზიციის გამოხატვა."; 2. მუსიკაში შეიქმნას კურიკულუმი, სადაც გაიწერება ყველა პროექტი და შემდეგ მოსწავლეებმა თავად აარჩიონ კურიკულუმიდან ორი პროექტი.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. წარმოდგენილ კურიკულუმებში სკოლას გამოკვეთილი აქვს სამიზნე ცნებების, როგორც მთავარი, გრძელვადიანი ორიენტირის როლი საკუთარ კურიკულუმებში. საბაზო საფეხურის, ისევე როგორც დაწყებითისა და საშუალო საფეხურების მთავარი ფოკუსი სამიზნე ცნებებია. მოცემულ კურიკულუმებში მეტწილად მკაფიოდ იკვეთება მიმართება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ ქვეცნება-ქვესაკითხებს შორის. სასკოლო საზოგადოება აქტიურად მუშაობს გლობალურ-ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით, სასწავლო პროცესი ეფუძნება გრძელვადიან მიზნებსა გლობალურ-ფუნქციურ უნარებს (6 უნარი, მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული დავალებების დანერგვის ეტაპზე აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათის ნებელობა, მოქალაქეობა). კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული კომპლექსური დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს მოუწევთ იაზროვნონ კრიტიკულად, შექმნან პროდუქტი, პრობლემის გადაჭრისას დასჭირდებათ შემოქმედებითობა, გუნდური და ჯგუფური მუშაობა, მეტაკოგნიტური სტრატეგიების ფლობა.

უცხოური ენის ექსპერტი საუბრობს მცირე ტექნიკურ შეუსაბამობაზე კონკრეტულ კურიკულუმში: გამოვლინდა მცირე თითქმის ტექნიკური ხასიათის უზუსტობები, მაგალითად ინგლისური ენის მე-7 კლასის კურიკულუმში კომპლექსური დავალების პირობა მოცემულია პირველ პირში. გერმანული ენის მე-7 კლასის კურიკულუმში რიგ კომპლექსურ დავალებასთან კავშირში მყოფი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები ერთმანეთისგან გახლეჩილად წერია, სამიზნე ცნება განზოგადებულად აღებულია და ქვეცნება და ქვესაკითხები არ კონკრეტდება. რიგ შემთხვევაში დავალების პირობა ამუშავებს სამიზნე ცნების სხვა ცნებასაც რომელიც კურიკულუმში მითითებული არ არის კონკრეტულად. ამ სახის ხარვეზები კურიკულუმში ხშირად არ ფიქსირდება და მათ ჭარბობს კონკრეტულად და სრული სიზუსტით აღწერილი შესაბამისობა კომპლექსურ დავალებასა და სამიზნე ცნებებსა და მის ქვეცნება/ქვესაკითხებს შორის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ სასწავლო პროცესი დანახულია როგორც მოსწავლეზე ფოკუსირებული და პოზიტიური გარემოს შექმნისკენ მიმართული აქტივობები, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები , პოტენციალი, საჭიროებები. სასწავლო პროცესი ნაცნობია თითოეული მათგანისთვის და განიხილება როგორც დამხმარე რესურსი ცოდნის კონსტრუირების პროცესში, რისი ერთ-ერთი მაჩვენებელია მაგალითად წინარე ცოდნის გააქტიურება, რაც აძლევს საშუალებას მოსწავლეს იდენტიფიცირება და რეაგირება მოახდინოს იმ საკითხზე რომელიც არ იცის. სკოლის მიერ მსგავსი აქტივობის განხორციელდება დასტურდება კომპლექსური დავალების პირობის გაცნობის აქტივობაში, რომელიც ეხმარება მოსწავლეს დაადგინოს, თუ რა გამოცდილება აქვს აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. მუშაობა. სკოლას, სასკოლო საწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების ჩანართი, სადაც გაწერილი არის ეტაპები სტატუსის მინიჭებიდან სამოქმედო გეგმამდე. გარდა ამისა სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის წესი, რომელიც მიზნად ისახავს სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების მირების კონტროლს. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს ინდ. გეგმების განხორციელების ჩარჩო რამდენიმე მაგალითით.სკოლას ჰყავს 38 სსსმ მოსწავლე. გარდა ამისა, სკოლა ჩართულია გარდა ამისა სკოლა ჩართულია “ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის” პროგრამის “საჯარო სკოლებში ინტეგრირებული კლასების დაფინანსების” ქვეპროგრამაში, რომლის ფარგლებში სკოლაში მოქმედებს ერთი ინტეგრირებული კლასი და ამ კლასის მოსწავლეებისთვის შექმნილია მათთვის ხელსაყრელი პირობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. მასწავლებლებმა წარმოადგინეს განსმსაზღვრელი და განმავითარევბელი შეფასების რუბრუკები, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მასწავლებლებმა წარმოადგინეს ეფუძნება სტანდრატით განსაზღვრულ თემის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ინდიკატორებს, ხოლო განმავითარებელი შეფასება ეფუძნება ცნებას და ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ აქცენტს აკეთებდნენ სამივე კატეგორიის (დეკლარატიულ, პროცედურულ, პირობისეულ) ცოდნაზე, და მოსწავლის ნამუშევრის/აქტივიზმის შეფასების პროცესში აჩვენებენ მხარდაჭერას მოსწავლის აკადემიური და პიროვნული ზრდისთვის და უჩვენებენ გზას თუ როგორ უნდა მოახერხონ წინსვლა. მათ ასევე აღნიშნეს, რომ განმავითარებელ შეფასებას არ გამოყოფენ სასწავლო პროცესიდან , არამედ პირიქით მის ნაწილად აღიქვამენ მას. პედაგოგებმა გამოკვეთეს ის სამი კომპონენტი, რომლითაც ხელმძღვანელობენ განმავითარებელი შეფასების შექმნის პროცესში, ესენია: დაზუსტება, წახალისება და რჩევა. სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემა. სკოლას არჩეული აქვს განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი.

სპორტი -წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები შეესაბამება სტანდარტს, არის ზოგადი.

რჩევა: სამომავლოდ შეფასების რუბრიკები ჩაიშალოს თემების მიხედვით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. წინარე ცოდნის გათვალისწინება და სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილების და გამოწვევების ანალიზი სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით კურიკულუმის შემუშავების განუყოფელი ნაწილია. ინტერვიურების პროცესში პედაგოგების მხრიდან დაფიქსირდა წარმატებული აქტივობების განხორციელების არაერთი მაგალითი და მათი გადანერგვის სურვილი მომავალი წლის კურიკულუმში. სკოლა იზიარებს, რომ სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რაც ასახულია მოსწავლეთა ნამუშევრებში, მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული ფაქტორები გაითვალისწინეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შედგენისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (კონცეპტუალური ნაწილი);

შეფასების ინსტრუმენტები;

განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის წესი;

ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრის მხრიდან წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოები (7-9 კლასი) იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას. კომპლექსური დავალებები, რომლებიც ჩაშენებულია კურიკულუმის ჩარჩოში ისეთი აქტივობების დანერგვას ითხოვს, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიქტი, იგი გამოკვეთს, განიხილავს და წყვეტს პრობლემას, ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. საბაზო საფეხურის სამივე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მრავლად გვხვდება კომპლექსური ბუნების დავალებები, ეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ საბაზო საფეხურზე არ არის ისეთი მაღალი ხარისხის ჩართულობა როგორც დაწყებით საფეხურზე, თუმცა კი მუშაობენ სხვადასხვა მეთოდით ამ ფაქტის გამოსასწორებლად. საბაზო საფეხურზე მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ, სასწავლო პროექტებში, კონფერენციებში, სასწავლო პროექტებში, ოლიმპიადებში, აქტიურად მიმდინარეობს საკლუბო მუშაობა. საბუნებისმეტყველო საგნების ექსპერტმა აღნიშნა, რომ საბაზო საფეხურზე ხორციელდება აქტივობები რომელშიც მოსწავლეები არიან ჩართულები. როგოც ბიოლოგიის მასწავლებელმა აღნიშნა ის ახორციელებს მოსწავლეეთა ვიზიტებს კვლევით ლაბორატორიაში, სადაც ეცნობიან საინტერესო კვლევებს, რაც მათ სიღრმისეული ცოდნის მიღებაში ეხმარება და ზრდის მათ ჩართულობას და ინტერესს საგნის მიმართ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლას ერონულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისად აქვს გამოკვეთილი საბაზო საფეხურის თითოეული კლასისთვის არსებული თემატური ბლოკები, რომლებიც მოსწავლეებში იწვევენ ინტერესს და საშუალებას აძლევს ნაცნობი კონტექსტის ფარგლებში და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიიღონ ინფორმაცია. პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში ახსენეს კომპლექსური დავალების მეშვეობით სხვადასხვა პროდუქტის შექმნის პრაქტიკა იქნება ეს წერილობითი თუ ზეპირი სახით წარსადგენი მასალა, აგრეთვე გააქტიურებულია მცნება კულტურათა დიალოგი, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევთ შეადარონ ერთმანეთს მათთვის ნაცნობი კონტექსტები ანუ მათში უკვე არსებული ცოდნა სხვა ქვეყნის მახასიათებლებს და განივითარონ კრიტიკული აზროვნება. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული დავალების პირობათა უმრავლესობა შემუშავების პროცესშია, მაგრამ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებმაც მოსწავლეები უნდა დააფიქროს სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. შერჩეული კომპლექსური დავალებები მოსწავლის მხრიდან მოითხოვს მსჯელობას საკუთარ გამოცდილებასა და ინტერესზე, გადაწყვეტილების პროცესში საკუთარ პოზიციასა და დასკვნების ვალიდურობაზე. მოსწავლეს ეძლევა საშუალება ახსნას რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელიშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა. ყოველივე ეს, ეხმარება მოსწვალეს საკუთარი აკადემიური (და არა მხოლოდ აკადემიური) თვითცნობიერების განვითარებაში. ექსპერტები ამბობდნენ, რომ მასწავლებლებმა წარმოადგინეს განხორციელებული კომპლექსური დავალებები. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა გამოკვეთეს მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის და საკუთარი მოსაზრების თამამად გამოხატვის შესაძლებლობის შესახებ. კომპლექსური დავალების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, გამოკვეთილი მისაღწევი მიზანი ანუ პროდუქტი და ეტაპებად დროში გაწერილი აქტივობები უბიძგებს მოსწავლეს დასახოს მისი შესრულების სტრატეგიები და თავად შეაფასოს იგი, ან მიიღოს უკუკავშირი მასწავლებლის ან თანატოლისგან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ისეა აგებული, რომ ყურადღება მახვილდება ცოდნის სამ კატეგორიაზე. მომავალი წლის სასწავლო კურიკულუმი მოსწავლეებს სთავაზობს იმგვარ ამოცანას, სადაც პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება მოუწევთ. უცხოური ენების ექსპერტმა დააკონკრეტა და თქვა, რომ დეკლარატიული სახის ინფორმაცია მიწოდებულია მთავარი თუ დამატებითი რესურსით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

მაგალითისთვის კონკრეტული კომპლექსური დავალების ნაწილში, მოსწავლე ამუშავებს წიგნს New Building Bridges დამატებით რესურსად უყურებს ვიდეოს School Life ზე და ამუშავეს გრამატიკულ დროებს სხვადასხვა ვიდეო ქვიზის/ელექტრონული რესურსის დახმარებით. ყველა აღნიშნული რესურსიდან შესრულებული დავალება ეხმარება მოსწავლეს გაიმყაროს ფაქტობრივი ცოდნა თემის შესახებ. საკვანძო შეკითხვები კი მაგალითად: როგორ , რა სტრატეგიების გამოყენებით გავითამაშო ინტერვიუ ? მოსწავლეს უბიძგებს პროდეცურული ცოდნის მიღებისკენ, ხოლო ავად კომპლექსური დავალების პირობა : ჩამოართვი ინტერვიუ თანაკლასელს მისი ერთი ჩვეულებრივი დღის შესახებ , მოამზადე როლური თამაში და წარუდგინე თანაკლასელება - ააქტიურებს მოსწავლეებში პირობისეული ცოდნის მიღების პროცესს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები და პროექტები იძლევა იმის საფუძველს რომ 2023 – 2024 სასწავლო წელს სასწავლო პროცესის წარმათვისას, საბაზო საფეხურზე შერჩეული თემები და საკითხები, რომლებიც მუშავდება თემატურ მატრიცებსა და კომპლექსურ დავალებებში მოსწავლეებს აძლევს საშუალებას განაზოგადონ მიღებული ცოდნა და დაუკავშირონ ის სხვადასხვა საგანში ნასწავლ მასალას და პირად გამოცდილებას. პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ ხშირად მიმართავენ გაკვეთილების ინტეგრირებულად ჩატარების პრაქტიკას, რაც ასევე ხელს უწყობს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განხორციელებული კომპლექსური დავალებები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს და წარმოადგინეს განხორციელებულ კომპლექსური დავალებების შესახებ, რომლებშიც ხდება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების პირობის და მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები, როგორც მტკიცებულება იმისა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განხორციელებული პრაქტიკის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა ზედმიწევნით იაზრებს საფეხურის საკვანძო შეკითხვების როლს და მნიშვნელობას და სახავს მას იმ მეთოდიკურ ორიენტირად, რომელიც სწავლის პროცესს უდევს საფუძვლად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილ დავალებებზე მუშაობის პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს. მოსწავლე ყალიბდება პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობა, აკადემიური მიღწევა და იდენტობა. დავალებებზე მუშაობის, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; გააკეთოს ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი პერსონალურსა თუ სოციალურ ქცევებს შორის. ინტერვიუს განმავლობაში პედაგოგებმა განაცხადეს, რომ მოსწავლეებს მოსწონთ არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის მიღება, ამისათვის კი ისინი ცდილობენ შეძლებისდაგვარად განახორციელონ სოციალური პროექტები. ემოციური ინტელექტის განვითარებისთვის კი იყენებენ ჯგუფურ სამუშაოებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლა, საკუთარი შეფასების აღწერის ნაწილში წარმოადგენს განმსაზღვრელი შეფასების პირველ ტიპს და უპირატესად სახავს განმავითარებელ შეფასებას ყველა საფეხურზე. კათედრების მიერ შერჩეული შეფასების რუბრიკები ხაზს უსვამს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მაგ: რეფერატის შეფასების სქემა, წერითი შემაჯამებელი დავალების რუბრიკა, კომპლექსური დავალების განმავითარებელი რუბრიკა, კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები არა მარტო ფაქტობრივ ცოდნას, არამედ ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტურალურ გარემოება. ფოკუსჯგუფთან მუშაობის პროცესში აღინიშნა, რომ შეფასების რუბრიკები შემუშავების ეტაპზეცაა და წარმოდგენილი იქნება მეთოდოლოგიურ დანართში. შეფასების ფორმად სკოლა სახავს, ზეპირსიტყვიერ ან წერილობით უკუკავშირს. იმის გათვალისწინებით, რომ შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში, ფოკუსირდება ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე,ხელს უწყობს მოსწავლეებში აქტიურ ჩართულობას და ავთენტურია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა მოსწავლეს აფასებს ჰოლისტურად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. საგნობრივი ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. შეფასების რუბრიკები ეყრდნობა კრიტერიუმებს. და ამით უზრუნველყოფენ მის ვალიდურობას, გამჭვირველეობის პრინციპს კი იცავენ იმ ფაქტით, რომ აზუსტებენ ნამდვილად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გაიგო თუ არა მოსწავლემ დავალების პირობა და ის თუ როგორ შეფასდებიან ან/და შეფასების რუბრიკის შექმნისას ითვალისწინებენ დავალების შინაარსის შეთანხმებას მოსწავალეებთან. ინტერვიუს გზით გამოვლინდა დადებითი პრაქტიკა, რომ მასწავლებლები მუდამ წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს.

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი აღნიშნავს, რომ ესთეტიკურ კათედრას არ აქვს შემუშავებული პროექტების განმავითარებელი შეფასება. **რჩევა, საჭიროა შეიქმნას შერჩეული პროექტებისთვის განმავითარებელი შეფასების სქემა, სადაც აქცენტი აქტივობებსა და პროდუქტებზე დამიზნებით სამიზნე ცნებების გააზრებაზე და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე იქნება.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. საგნობრივი ექსპერტები შესწავლილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე ასკვნიან, რომ- სწავლების შედეგების შეფასების უზრუნველყოფის მექანიზმი, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება, გაწერილია და წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, სტრატეგიული გეგმის პროექტში, კათედრის სხდომის ოქმში. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემა, რომელიც ადგენს სასწავლო პროცესის შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს ხარისხის ჯგუფის შეხვედრების ოქმები, რომლებშიც მიმოხილულია კონკრეტული მაგალითები და ქეისები, საიდანაც ჩანს, რომ სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. სკოლას აქვს ხედვა და მზაობა განაგრძოს მუშაობა შეფასების ვერიფიკაციის სისტემის გამართვა - განვითარების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. ექსპერტები ზოგადად აღნიშნავენ, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვას, დაასახელეს სხვადასხვა ტიპის დოკუმენტები და მისი შენახვის სხვადასხვა ვადები. პირადი საქმის შენახვას - 75 წლით, შემაჯამებელი დავალებები - 1 წლის ვადით, ზოგიერთმა დაასახელა, რომ შეფასების შესახებ ინფორმაციას ინახავენ არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლას ეძლევა **რჩევა შეიმუშაოს ერთიანი მიდგომა შეფასების მონაცემების შესახებ რათა სკოლაში არსებობდეს ერთიანი და ერთნაირი მიდგომა**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმები;
ინტერვიუ მასწავლებლებთან;
სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

1. ექსპერტების საერთო აზრით წარმოდგენილი კურიკულუმები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მეთოდები და სტრატეგიები, შეფასების რუბრიკები და კომპლექსურ დავალებები, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებიდან, დასტურდება და იკვეთება მომავალშიც მზაობა, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ამასთანავე სასწავლო გეგმა, ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია პუნქტები და მასში გაწერილი საკითხები, რომლებიც მიზნად ისახავს სასწავლო პროცესისთვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას. მაგ: იკითხება, რომ სკოლის მისია და ხედვა მოსწავლეზე ორიენტირებულია, საათობრივი ბადე შექმნილია სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია, მოსწავლის განვითარებასა და სასწავლო პროცესის მხარდაჭერაზე, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საჭიროების მოსწავლისთვის. მოწყობილია რესურს ოთახი ასეთი მოსწავლეებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი გულისხმობს მოსწავლისთვის საინტერესო დავალებებს მიცემას, მოსწავლისთვის ნაცნობ კინტექსტში და მრავალფეროვან რესურსებს, საინტერესო აქტივობებს და სწორ განმავითარებელ შეფასებას, რაც ჩანს კურიკულუმებში. მასწავლებლებმა დაგვანახეს თავიანთი სწორი ხედვა ამ მიმართულებით, მათ საუბრისას მოიყვანეს სხვადასხვა მაგალითები პრაქტიკიდან. უნდა აღინიშნოს რომ ისინი ხშირად უზიარებენ ერთმანეთს მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციას და აქვთ მზაობა მომავალშიც სასწავლო პროცესი წარმართონ მოსწავლეზე ორიენტირებულად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის მასწავლებლები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. გარდა ამისა, სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად ახორციელებს შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან (ღია კარის დღე მშობლებთან, თემატური შეხვედრები მასწავლებლებთან/სპეც მასწავლებლებთან), იზიარებენ მათ უკუკავშირს და აქვთ სიახლეების მიმღებლობა. სკოლის ციფრული განვითარების გეგმაში წერია, რომ სკოლა გეგმავს oneDrive-ზე შექმნას ელექტრონული საცავი რომელშიც შენახული და შესაბამის თანამშრომლებთან გაზიარებული იქნება ინფორმაცია და ყველა საჭირო ფაილი. ყოველივე ეს მიუთითებს სკოლაში თანამშრომლობით კულტურისა და კომუნიკაციის არსებობაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური გარემო, ეს კარგად ჩანს დაწყებითი საფეხურის კათედრის მასწავლებელთა შეხვედრიდან. ასევე ამაზე მეტყველებს მასწავლებლების მიერ განხორციელებული აქტივობები და პროექტები. სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიურ გარემოს როგორც სკოლის ასევე კლასის დონეზე, გარდა ამისა ინტერვიუს პროცესში პედაგოგების მხრიდან არაერთგზის დაფიქსირდა მოსწავლეებთან კოლეგიალური და მეგობრული ურთიერთობის არსებობის შესახებ, როდესაც მოსწავლეებს შეუძლიათ სწავლის პროცესში გამოვლენილი ნებისმიერი მათთვის საინტერესო საკითხით მიმართონ პედაგოგებს, რაც კიდევ მეტად ახდენს მათი მხრიდან პროცესებში აქტიურად ჩართვის ფაქტებს. სპორტის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში ყოველთვის ატარებდნენ სპორტულ საკლასო და სასკოლო ღონისძიებებს, რაც ხელს უწყობს პოზიტიური კლიმატის შექმნას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასკოლო კურიკულუმი;
საგნობრივი კურიკულუმი;
ინტერვიუ მასწავლებლებთან;
სკოლის ციფრული განვითარების გეგმა.
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივი ექსპერტები თვლიან, რომ სკოლას კურიკულუმის განვითარების მეთოდილოგიაში განსაზღვრული აქვს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები წარმოადგენს პრინციპებს რომელსაც ეფუძნება ციკლური პროცესი და, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლა პროცესში სვამს ორ ძირითად კითხვას : რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს მიხედვით და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. სკოლა დიაგნოსტირებას მიმართავს მომავალ წელს ორ საგანში, რომელიც გაწერილი აქვს სასკოლო გეგმის პროექტშიც. საგნობრივი კათედრების ფუნქციებს შორის გამოკვეთილია გამოცდილების გაზიარება, წარმატებული პროცესის წინაპირობის განსაზღვრა. აგრეთვე თითოეული მასწავლებლის მიერ კლასების მიხედვით ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს წამოჭრილი პრობლემების ანალიზი. სკოლა წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის პროექტს, სადაც ხარისხის ამაღლების მიზანი ჩაიშლება ოთხ კომპონენტად, რომელშიც შეფასება კვლავ ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად რჩება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. ექსპერტები ადასტურებენ, რომ მონიტორინგი და შეფასება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად ხორციელდება. კურიკულუმის მიხედვით წარმართული სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შეფასების მიზნით განიხილავენ შემდეგ ინსტრუმენტებს: ურთიერთდასწრებას, თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას, კათედრაზე შედეგების განხილვას მეთოდოლოგიაში ჩანს როგორც ანგარიშვალდებულებები, ასევე მოსწავლეების მიღწევების და მხარდაჭერის მექანიზმები. აგრეთვე მონიტორინგის შედეგების მიმართვა სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ჩანს ცალკეულ ინსტრუმენტებში, რომლებიც სკოლამ წარადგინა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. სკოლა მონიტორინგისა და შეფასების შედეგად განსაზღვრავს ძლიერ და სუსტ მხარეებს, ხელის შემშლელ ფაქტორებს, გამოწვევებს და პრობლემის იდენტიფიცრების შემდეგ ზრუნავს მისი გადაჭრის გზებზე. ექსპერტები აღნიშნულ პროცესს ხედავენ მიმდინარე აქტივობების დროს: მასწავლებლების პროფესიული საჭიროების დადგენა და ზრუნვა პროფესიულ განვითარებაზე, კათედრებისგან გაცემული უკუკავშირი, თემის ბოლოს რიგი საკითხების გადაჭრა. სკოლას სტრატეგიული გეგმის პროექტში აქვს წარმოდგენილი ჩანართი სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელების შესახებ, რომელიც სკოლას ავალებს სხვადასხვა ტიპის კითხვარების შემუშავებას, მოსწავლეთა მასწავლებელთა და მშობელთა პერიოდული გამოკითხვას პროცესთან დაკავშირებული საჭიროების კვლევის მიზნით, რომელსაც უხელმძღანელებს დირექტორი და დირექტორის მოადგილე. საგაკვეთილო პროცესზე დასწრება, შედეგების ანალიზი და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება, სადაც ჩართულ მხარეებად მოიაზრებიან დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, საგნობრივი კათედრები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მასწავლებლებლებთან გასაუბრება;
სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი;
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი 2023-2024;
ხარისხის ჯგუფის ოქმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კათედრის სხდომის ოქმები;
კათედრის დებულება;
ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სხდომის ოქმი განმავითარებელ შეფასებაზე N2,
კათედრის ოქმი ურთიერთდასწრების დაგეგმვაზე;
საგნობრივი კურიკულუმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ექსპერტები მიიჩნევენ რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს: სასწავლო პროცესზე დაკვირვება, კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალებები, მასწავლებლის პორტფოლიო, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენების შედეგები, შემაჯამებელ წერების შედეგები, საკლასო და საშინაო დავალების შესრულება, ქვიზების გამოყენება, სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობა, არაფორმალური განათლება. გარდა ამისა სკოლა წარმოადგენს მონაცემთა შეგროვების სხვა ხერხებს: მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება და შედეგების ანალიზი, განმავითარებელი კომენტარი, მასწავლებლისა და მოსწავლის თვითრეფლექსია, მასწავლებლების მიერ კათედრაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____
_____

განხილული გამოწვევები თუ წარმატებული ქეისები, კითხვარების საშუალებით მშობლებისგან მიღებული ინფორმაცია, მასწავლებლების მიერ მშობლებისთვის კრებებზე გაზიარებული ინფორმაცია და მათგან მიღებული უკუკავშირი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ჰოლისტური ხასიათისაა, ექსპერტები მასწავლებლებლებთან ინტერვიუს დროს გამოკვეთენ მათ მიერ შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტზე ყურადღების გამახვილებას, როგორებიცაა: კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. სკოლა გამოკვეთს კომპლექსური ბუნების დავალებას როგორც საშუალებას, მოსწავლის სხვადასხვა ტიპის აქტივობაში ჩართულობის შესაფასებლად მისი ინდივიდუალური კოგნიტური უნარებისა თუ ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით.შემაჯამებელი განმავითრებელი შეფასებისას გათვალისიწნებულია სხვადასხვ საგნის მასწვალებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწვალის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. შესწავლილი მასალებისა და ექსპერტთა მიერ მასწავლებლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ, როგორიცაა ინტერვიუები, კითხვარები, კვლევები და ა.შ. ჩაატრებულია ფორმსის მეშვეობით მასწავლებელთა/მოსწავლეთა/მშობელთა გამოკითხვა. სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. შესაბამისად 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება სხვადასხვა საგანში ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლის ციფრული განვითრების გეგმაში აღნიშნულია, რომ სამომავლოდ ვებ.გვერდს დაემატება გვერდები რომელთა საშუალებითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და მონაცემების შეგროვება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებელთა დამოკიდებულებები მოსწავლეთა დინამიკის შეფასების პროცესში ითვალისწინებს სხვადასხვა შესაძლო ფაქტორთა მთელ რიგს. შესწავლილი მასალებიდან ჩანს, რომ სკოლა შეფასებას განახორციელებს მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.ექსპერტები მასწავლებელთა გამოკითხვების შედეგად ამბობენ, რომ შეფასებისას პირველ რიგში ითვალისწინებენ, მოსწავლეების შესაძლებლობებს, საჭიროებებეს, ინტერესებს., მომავალი სასწავლო წლიდან კი იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვა. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება როგორც მოსწავლის აკადემიური დონე, ასევე მოსწავლის განვითარების დინამიკა, განვითარების პროცესი. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას განაგრძონ ამ მიმართულებით მუშაობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი 2023-2024;
ინტერვიუ მასწავლებლებთან;
ხარისხის ჯგუფის ოქმები;
კათედრის სხდომის ოქმები;
კათედრის დებულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი;
დაწყებითის კურიკულუმები ;
მასწავლებლის თვითშეფასება;
გასასვლელი ბილეთი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---
---

1. სკოლამ ვიზიტის დროს შეიმუშავა "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". დოკუმენტის მიხედვით კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე, ასევე ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილების საფუძველზე. დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია მიმართულებები, რომლის მიხედვითაც მოხდება მონაცემების მოპოვება და ასევე განსაზღვრულია პროცესში ჩარტული მხარეები, რომელთა შორის არის კათედრაც.

   ინტერვიუს დროს საგნობრივი კათედრები ამბობდნენ, რომ კურიკულუმის გადაფასდებისთვის რეკომენდაციების შემუშავება მოხდება საგნობრივ კათედრებზე, საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი კათედრის სამუშაო შეხვედრებზე. კათადრაზე მოხდება გამოცდილების გაზიარება. როგორც ინტერვიუზეც გამოიკვეთა მასწავლებლებს აქვს კარგი თანამშრომლობითი გამოცდილება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" მიხედვით სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შესაქმნელად საჭირო აქტივობებად სკოლა ასახელებს კათედრაზე მიმდინარე პროცესებს, მაგალითად გამოცდილების ურთიერთგაზიარება, მონაცემთა ანალიზი და მის საფუძველზე გამოვლენილი წამატებული თუ ხარვეზის შემცველი გამოცდილების გამოყენება. სკოლა მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით გეგმავს რევიზიის ნაწილში აქცენტი გააკეთოს შემდეგ მნიშვნელოვან მომენტებზე: როგორი იყო მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, რა უშლიდათ მათ ხელს? როგორ გაუმჯობესდა ან რატომ ვერ გაუმჯობესდა მოსწავლეთა შედეგები წინა წელს? როგორი იყო მშობლებთან კომუნიკაცია და რა ფაქტორები უწყობდა ან უშლიდა ხელს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

მათ ჩართულობას? როგორ იმუშავეს კათედრებმა, რისი გაუმჯობესება იქნებოდა შესაძლებელი, როგორი იყო დირექციის ჩართულობა ციკლურ პროცესში, რა განმაპირობებელი ან ხელის შემშლელი ფაქტები გამოვლინდა?

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

"კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია" და მისი დამტკიცების ბრძანება N1/კ-67, 14.06.2023

ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ჯგუფის წევრი - /თამარ კვანტიძე/

ჯგუფის წევრი - /ნინო აბესაძე/

ჯგუ

ფის წევრი - /ანა ანუშიძე/

ჯგუფის წევრი - /ვარდო გოგილავა/

ჯგუფის წევრი - /მარიკა ბოცვაძე/

ჯგუფის წევრი - /ელენე ბეთლემიშვილი/

ჯგუფის წევრი - /მარიამ ღუბელაძე/

ჯგუფის წევრი - /მაია ჩაჩხიანი/

ჯგუფის წევრი - /ედუარდ ნაკაიძე/

ჯგუფის წევრი - /ნადია დაბრუნდაშვილი/

06.11.2023
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____